კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სალომე ყოლბაია

ტრანსეროვნული კომპანიების ფუნქციონირების ფინანსური მექანიზმი: მენეჯმენტის პრობლემები

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი,ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თეა ლაზარაშვილი

თბილისი

2018

შინაარსი

ანოტაცია.....3

Anotation.....4

შესავალი.....

5

თავი1.ტრანსეროვნული კომპანიები, როგორც გლობალური ეკონომიკის სუბიექტები.....8

1.1 ტრანსეროვნული კომპანიების არსი და განვითარების ეტაპები.....8

1.2 ტრანსეროვნული კომპანიების როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში.....19

1.3 ტრანსეროვნული კომპანიების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.....24

თავი 2. ფინანსური მენეჯმენტი, როგორც ტრანსეროვნული კომპანიების ფუნქციონირების ძირითადი მახასიათებელი.....39

2.1 ფინანსური მენეჯმენტის არსი და როლი ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობაში.....39

2.2 ფინანსური მენეჯმენტის ამოცანები.....46

თავი 3. გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების ძირითადი მახასიათებლები.....49

3.1 ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობის ზეგავლენა გარდმავალ ეკონომიკაზე.....49

3.2 გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების თანამედროვე მდგომარეობა.....5

2

3.3 ტრანსეროვნული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის საქართველოში.....63

დასკვნა.....69

გამოყენებული ლიტერატურა.....73

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ტრანსეროვნული კომპანიების არსი და განვითარების ეტაპები. გაანალიზებულია ტრანსეროვნული კომპანიების როლი ეკონომიკის გლობალიზციაში და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. უნდა აღვნიშნოს, რომ ტრანსეროვნულ კოპმანიებს, როგორც საერთაშორისო ბიზნესის წამყვან მოთამაშეებს, უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლიათ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში და სამუშაო ადგილის შექმნაში.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების თანამედროვე მდგომარეობა და ფინანსური მენეჯემნტის როლი ტრანსეროვნული კომპანიის საქმიანობაში.

გაშუქებულია ტრანსეროვნული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

Salome Kolbaia

Financial Transnational Companies: Management Problems

Anotation

This master's thesis deals with the essence of transnational companies and their development levels, also here is analyzed the role of transnational companies during the globalization of economics and socio-economic development of the country. Also it should be noted, that transnational companies as leading international players on the market, can excellent contribute the hosts country's economic growth, innovation technology development and creating great workspace.

In this thesis, there is more information about Georgia's current position and future integration in global economic, also what kind of relationship and role has financial management in transnational company.

Here is reported some cases and issues about financial management of transnational companies in the transition period of economics market in Georgia.

შესავალი

თემის აქტუალურობა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას მისი გლობალიზაცია წარმოადგენს. ამჟამად სულ უფრო ძლიერდება ეროვნული ეკონომიკის ინტერესების აბსოლუტიზაციის პერიოდიდან მის ახალ ეტაპზე - გლობალური ეკონომიკაზე გადასვლა, რაშიც გადამწყვეტ როლს ტრანსეროვნული კომპანიები ასრულებენ.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში, ისე როგორც ქვეყანათა სპეციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ტრანსეროვნული კომპანიების როლი და ადგილი მნიშვნელოვნად იზრდება. გლობალიზაციის პროცესებს ტრანსეროვნული კომპანიები აღრმავებენ და უფრო მასშტაბურს ხდიან. მათ უმეტესობას საზღვარგარეთ აქვს ფილიალებისა და გაყიდვების დიდი ნაწილი, სწორედ ასეთი კომპანიებია გლობალური ურთიერთობების ნაწილი.

გლობალიზაციის ეპოქაში ტნკ-ების ფაქტორი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას. ტრანსნაციონაციონალიზაცია ზრდის საშუალო

მოგებასა და მისი მდგრადი მიღების საიმედოობას. ტნკ-ები დიდ გავლენას ახდენენ შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაზე. ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული ინსტიტუტების - შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბერგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკისა და სხვათა წარმატებულ გადატანასა და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო ფუნქციებს, როგორიცაა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება, ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცება და სხვ. ამ კუთხით ნაშრომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

მიზნები და ამოცანები. ნაშრომის მიზანია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მრავალგანზომილებიანი პროცესის განვითარებაში ტნკ-ების როლის შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესების თეორიული საფუძვლის ანალიზი;
- ტნკ-ების განვითარების თანამედროვე ტენდენციების განხილვა;
- ტნკ-ებისა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა პრობლემების შესწავლა;
- გარდამავალ ეკონომიკაზე ტნკ-ების გავლენის ძირითადი მიმართულებების შესწავლა;
- ტრანსეროვნული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებების გამოვლენა საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის საქართველოში;
- გლობალურ ეკონომიკასთან საქართველოს ეკომონომიკის ინტეგრირების პროცესში ტნკ-ების როლის განსაზღვრა.

კვლევის ობიექი და სუბიექტი. კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ტრანსეროვნული კომპანიების როლის შესწავლა და თავისებურებების

გამოვლენა. ტრანსეროვნული კომპანიების ფუნქციონირების ფინანსური მენეჯმენტის პრობლემების გამოვლენა.

კვლევის მეთოდები. კვლევის თეორიულ ბაზად გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, განხილული გვაქვს სხვადასხვა ავტორების შეხედულებები და მეცნიერეული მიღწევები. კვლევისას გამოყენებულია სოციო-ლოგიური გამოკითხვის მეთოდი საქართველოში მრეწველობის წამყვან ქალაქებში. კვლევაში გამოყენებულია ლელა ჯამაგიძეს , ნატო ჩადუნელის, რევაზ ჯავახიშვილის, რამაზ ფუტკარაძეს ნაშრომები.

კვლევის დროს ვითვალისწინებდით ტრანსეროვნული კომპანიების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, ამასთანავე სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების მასალებს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 72 გვერდს და შედგება შესავალის, სამი თავის და დასკვნისგან. თავები დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა.

თავი I. ტრანსეროვნული კომპანიები, როგორც გლობალური ეკონომიკის სუბიექტები

1.1 ტრანსეროვნული კომპანიების არსი და განვითარების ეტაპები

ტნკ-ების წრე მრავალფეროვანია და ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ტნკ-ების რაოდენობის მნიშვნელოვნი ზრდა 1970 წლიდან შეიმჩნევა, ამ დროისთვის მათი რაოდენობა არ აჭარბებდა 7000. დღესდღეისობით მსოფლიოში მოქმედებს 82 000 ტნკ, დაახლოებით 810 000 შვილობილი კომპანიითა და ფილიალით, რომელთა თითქმის ნახევარი განვითარებად ქვეყნებშია წარმოდეგენილი.

ცხრილი1.1

მსოფლიოში არსებული ტნკების რეიტინგი 2015 წლისათვის ასე გამოიყურება

	კომპანია	ქვეყანა	მოგება, მლრდ (&)
1	Apple	აშშ	724,773
2	Exxon Mobil	აშშ	356,548
3	Berkshire Hathaway	აშშ	356,510

4	Google	აშშ	345,849
5	Microsoft	აშშ	333,524
6	PetroChinal	ჩინეთი	329,715
7	Wells Fargo	აშშ	279,919
8	Johnson@Johnson	აშშ	279,723
9	Industrial@Commercial Bank of China	ჩინეთი	275,389
10	Novartis	შვეიცარია	267,897

წყარო: scienceforum.ru

პირველ ადგილს იკავებს ამერიკა, კომპანია APPLE, რომლის მოგება არის 724,773 მლრდ დოლარი, ხოლო ბოლო ადგილს იკავებს შვეიცარია , კომპანია NOVARTIS, მისი მოგება კი 267,897 მლრდ დოლარია.

ტნკ-ები დომინირებენ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასა და ფინანსურ სფეროში. მათზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 70 %. წამყვანი კორპორაციების 60% დაკავებულია წარმოების სფეროში, 37%- მომსახურების სფეროში, 3% - მომპოვებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მათი ოპერაციების ძირითადი ნაწილი მოდის ფინანსურ მომსახურებაზე (14,5%), საავტომობილო ნაწილებისა და მაკომპლეკტებლებზე (12,7%), დაზღვევაზე (12,4%), საბითუმო და საცალო სავაჭრო მომსახურებაზე (11,3%). მსოფლიოს 300 უმსხვილესი კორპორაცია ფლობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 70%-ს.

ტნკ-ებზე მოდის ახალი პატენტებისა და ლიცენზიების 4/5, ხორბლით, ყავით, სიმინდით, ხე-ტყით, თამბაქოთი მსოფლიო ვაჭრობის 90%, ჩაით ვაჭრობის - 80%, ნატურალური კაუჩუკითა და დაუმუშავებელი ნავთობით ვაჭრობის - 75%. მათ კონტროლქვეშაა მსოფლიო მშპ-ის ნახევარი. ტნკ-ების გავლენით საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადებმა განიცადა არა მარტო ინტენსიფიკაცია, არამედ შეიცვალა მათი თვისობრივი მხარეც. დიდი ნაწილი ამგვარი ნაკადებისა შიდაკორპორაციული ხასიათისაა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები სხვადასხვა ტერმინოლოგიითაა მოხსენიებული - საერთაშორისო კომპანია, მრავალეროვნული კომპანია, ტრანსეროვნული კომპანია, გლობალური კომპანია.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორების, კ. ბარლტეტისა და ს. გოშალის ტიპოლოგიის მიხედვით, საერთაშორისო კომპანია გულისხმობს ორგანიზაციას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ერთზე მეტ ქვეყანაში დედა კომპანიის გამოცდილების გამოყენებით.

მულტინაციონალური კომპანია აღნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ბიზნესს ახორციელებს მრავალ ქვეყანაში, ამასთან, მისი სტრატეგია და მმართველობითი გადაწყვეტილებები დეცენტრალიზებულია უცხოურ განყოფილებებს შორის [ლ.ჯამაგიძე 2008;49].

ტრანსეროვნული კომპანიის ცნება უკავშირდება შემთხვევას, როცა ორგანიზაცია საქმიანობას ეწევა ეროვნულ საზღვრებს გარეთ სტრატეგიის კოორდინაციის და ინტეგრაციის სხვადასხვა ხარისხით, ბაზრებისა და ბიზნესის განხორციელების სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე.

გლობალური კომპანია საქმიანობის წარმართავს ყველა ქვეყანაში ერთიანი სტრატეგიით, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით მაღალკოორდინირებული და მაღალინტეგრირებულია. ბიზნესის სუბიექტების სტრატეგია განისაზღვრება ცენტრალიზებულად და განყოფილებებს მცირე ავტონომია აქვთ მინიჭებული[ლ.ჯამაგიძე 2008;50].

1970-იანი წლებიდან დაწყებულმა ეკონომიკური ლიბერალიზაციის ტენდენციამ ტნკ-ებს ზრდისა და ფართო დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა მისცა. ტნკ-ები და გლობალური კომპანიები თვისობრივად განსხვავდებიან მრავალეროვნული კომპანიებისგან. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს გლობალური და ტრანსეროვნული ოპერაციების კოორდინაციის პროცესები. შესაბამისად, მისი სუბიექტების კოორდინაციის წესიც ხდება გლობალური თავისი მასშტაბით და ტრანსეროვნული თავისი ბუნებით. პ .

დიკენის მიხედვით, გლობალური ეკონომიკის უპირველესი მამოძრავებელი და ჩამომყალიბებელნი სწორედ ტნკ-ები არიან.

ტრანსეროვნული კომპანიების არსებობის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი მასშტაბის ეკონომიას უკავშირდება. მართალია, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ზოგიერთ დარგში შეამცირა მათი ზომის მნიშვნელობა, მაგრამ მთელ რიგ დარგებში, როგორიცაა, მაგალითად, საავტომობილო წარმოება, საქმიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუ ის დიდ მასშტაბს ეფუძნება. მეორე მიზეზი შეიძლება დავუკავშიროთ ფარდობით უპირატესობას. რთული სამრეწველო პროდუციის წარმოება აერთიანებს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციას და საჭიროებს მრავალი სახის წარმოების ფაქტორს. ამიტომ, ფარდობითი უპირატესობიდან გამომდინარე, თითოეული ოპერაცია უნდა შესრულდეს იმ ქვეყანაში, სადაც უფრო მიზანშეწონილი იქნება. ტნკ-ების განვითარების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მომხმარებელთა გემოვნების მსგავსება. თუკი ბევრ ამერიკელ მომხმარებელს სურს შეიძნოს გერმანული ავტომობილი, მაშინ უმჯობესია მისი წარმოება აშშ-ში. ნებისმიერ შემთხვევაში, ტნკ-ები მოქმედებენ მოგების მაქსიმიზების სურვილით და როდესაც ერთი ბაზარი გაჯერებულია, ისინი იწყებენ ახალი ბაზრების ძიებას.

1970-იანი წლებში ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქმიანობის გლობალური კონფიგურაციის გამოყენებას. შესაძლებელი გახდა ერთ ქვეყანაში კომპონენტების წარმოება და მეორეში მისი ექსპორტირება, ამიტომ კომპანიებმა მოახერხეს კომპონენტების წარმოების კონცენტრირება ერთ სპეციალიზებულ საწარმოში და შექმნეს სპეციალიზებული წარმოების ქსელი რეგიონების ან მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციის ერთ კატეგორიას ან ერთ კომპონენტს. შემდეგ ხდება კომპონენტების ურთიერთ მიწოდება საბოლოო სახის საქონლის მისაღებად. ამგვარი სისტემის უპირატესობა დიდია. წარმოების კონცენტრაციით ფირმები იღებენ გაზრდილ სარგებელს მასშტაბის ეკონომიის შედეგად. წარმოების

შემცირებული ხარჯები კი ხელს უწყობს ფასის შემცირებას და ბაზრის წილის ზრდას.

ცხრილი1.2

ტნკ-ების განვითარება უკანასკნელ ათწლეულებში

პერიოდი	შესაბამისი სტრატეგია
1950-1970	მულტინაციონალური ექსპენსია.დომინანტურია მულტინაციონალური სტრატეგიები,უცხოური განყოფილებები ავტონომიურია და ემსახურებიან ადგილობრივ ან რეგიონულ ბაზრებს. კოორდინაციასა და ინტეგრაციას არ აქვს სრულყოფილი სახე.
1980-იანი წლები	გადასვლა კოორდინირებულ ინტეგრირებულ გლობალურ სტრატეგიებზე. აქცენტი კეთდება გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე. გლობალური მასშტაბი გამოუყერება, როგორც კონკურენციის ინსტრუმენტი. ღრმავდება სპეციალიზაცია და ეროვნული ურთიერთდამოკიდებულება.
1990-იანი წლები	კომპანიები ითვისებენ გლობალურ და ტრანსეროვნულ სტრატეგიებს, კონცენტრირებულნი არიან არაძირითადი საქმინობის საკუთარ ფარგლებს გარეთ გატანაზე. ფირმის ფარგლებში მიმდინარეობს ძირითადი კომპეტენციების განვითარება. ეს განაპირობებს გლობალური ქსელებისა და ალიანსების განვითარებას როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად. აქცენტები კეთდება ცოდნაზე, როგორც უმნიშვნელოვანეს აქტივზე
2000-იანი წლები	ვირტუალური და ქსელური კომპანიების განვითარების ერა.

წყარო: Storehouse G., Campbell D., Global and Transnational Business: Strategy andManagement,2003, გვ. 18

კომპანიების გლობალიზაციის პროცესი უკავშირდება საქონლისა და მომსახურების სტანდარტიზაციის გარკვეულ ხარისხს და კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში საქმიანობის კოორდინაციისა და ინტეგრაციის მაღალ დონეს.

ორი უკიდურესობაა, კომპანია, რომელიც მხოლოდ ერთ ქვეყანაში საქმიანობს და კომპანია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი. გლობალურ კომპანიას ვუწოდებთ კომპანიას, რომელიც წარმოდგენილია მრავალ ქვეყანაში, ამ ქვეყნების მასშტაბით აქვს ოპერაციების ინტეგრირებისა და კოორდინაციის მაღალი ხარისხი და საქმიანობას წარმართავს ერთიან სტრატეგიებსა და პრინციპებზე დაყრდნობით.

ამასთან, გასათვალისწინებელია, გლობალიზაციის წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის სტანდარტიზაციას, კოორდინაციასა და ინტეგრაციას. ეს ფაქტორებია:

- კულტურული ფაქტორები - გემოვნება, ქცევა და სოციალური ნორმები;

როცა საქონლის ან მომსახურების მოხმარება უკავშირდება ტრადიციებს, ეროვნულ ან რელიგიურ ღირებულებებს, გლობალიზაცია ეფექტიანი არ არის. თუმცა, ზოგიერთი, ძლიერ გამოკვეთილი კულტურული ელემენტების მქონე საქონელი შეიძლება, მომხმარებელმა მოიწონოს მთელ მსოფლიოში, მაგრამ მრავლადაა ისეთი საქონელი, რომელთა სტანდარტიზაციას ხელს უშლის კულტურული ფაქტორები. ზოგიერთ სექტორში გასაღების ქსელები და პრაქტიკა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და შესაბამისად, ქსელის მართვა, მოლაპარაკებები და ა.შ. თითქმის არ ექვემდებარება გლობალურ კოორდინაციას. მაგალითად, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში პირადი ურთიერთობები მეტ როლს ასრულებს საქმიან მოლაპარაკებებში, ვიდრე იურიდიული კონტრაქტები.

შესაბამისად, იქ დიდ დროს და ძალისხმევას ხარჯავენ პირადი კავშირების დამყარებაზე, მაშინ, როცა აშშ-ში ეს დროის უბრალო ფლანგვად მიაჩნიათ.

- ტექნიკური ფაქტორები - სტანდარტები, ტრასპორტირების პრობლემები, ენები;

ქვეყნების მიხედვით განსხვავებული ტექნიკური სტანდარტები დაბრკოლებას ქმნის გლობალური კომპანიებისათვის. ტრანსპორტირება დაბრკოლებას წარმოადგენს მაშინ, როცა სატრანსპორტო ხარჯები გამორიცხავს წარმოების კონცენტრაციიდან მიღებულ სარგებელს. რაც შეეხება ენობრივ შეზღუდვებს, ინგლისური ენის „გლობალიზაცია“ ამ ფაქტორის ზემოქმედებას ამცირებს.

ტნკ-ების განვითარებას ტრადიციულად, ეტაპობრივად ყოფენ. ცხრილში 1.3 წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნების თავისებურებები განვითარების ეტაპების შესაბამისად.

პირველი თაობის ტნკ-ების საქმიანობა დაკავშირებული იყო ყოფილი კოლონიების ნედლეულის დამუშავებასთან. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ისინი კარტელებს, სინდიკატებს და ტრსეტებს წარმოადგენენ.

მეორე თაობის ტნკ-ების საქმიანობას სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებაში ეწეოდნენ. ეს უკავშირდება ომებს შორის პერიოდს, თუმცა ბევრმა მათგანმა საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდშიც განაგრძო. ეს პერიოდი, ასევე, ხასიათდება შერწყმისა და შთანთქმების ძლიერი ტალღითა და ალიანსების რაოდენობის ზრდით.

მესამე თაობის ტნკ-ები გამოჩნდნენ 1960–იან წლებში, რომელთა საქმიანობა დაფუძნებულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებზე. ისინი ორგანიზაციული ფორმით კონცერნებსა და კონგლომერატებს წარმოადგედნენ. მათი არხების საშუალებით ვრცელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და საფუძველი ეყრებოდა ერთიანი საბაზრო საინფორმაციო სივრცის პირობებში საერთაშორისო წარმოებას.

1980-იანი წლებიდან ჩნდება ტნკ-ების მეოთხე თაობა - გლობალური ტნკ-ები. მათ აქვთ ბაზრების პლანეტარული ხედვა და კონკურენციის მსოფლიო

მასშტაბური სახე. გლობალური კომპანიები წარმოებისა და გასაღების ინტეგრაციასა და კოორდნიაციას ქსელური საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ახორციელებენ. მათ სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფები ინტეგრირებულნი არიან ერთიან საერთაშორისო ქსელში , რომელიც, ასევე, სხვა ტნკ-ების ქსელებთანაა ინტეგრირებული. ტნკ-ების ამ თაობის დამახასიათებელი ნიშანია უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც ხშირად შეიძლება სახელმწიფოთა ძალაუფლებას აღემატებოდეს.

ტნკ-ების მეხუთე თაობის ჩამოყალიბება უკავშირდება ტრანსეროვნული კაპიტალის, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმის ფორმირებას. ეს ტნკ-ები ეროვნული სახელმწიფოებისგან დამოუკიდებელი ეკონომუკური სუბიექტებია. ამ პროცესს აქვს შესაბამისი ინსტიტუციური მხარდაჭერა, რაც საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მარეგულირებელ წესებსა და ქვეყნების კანონმდებლობით მიღებული ლიბერალური ნორმებით განისაზღვრება. მეხუთე თაობის ტნკ-ების საქმიანობაში წამყვანი როლი აქვს ინოვაციებს და ახალ ცოდნას. ცხრილში 1.3 მოცემულია ტნკ-ების განვითარების თავისებურებები წარმოების ქვეყნების შესაბამისად.

ცხრილი 1.3

ქვეყანა	საწყისი მდგომარეობა	ტრანსფორმაციის მიმართულება	პუი-ისა და შერწყმის მიმართულება	მართვის სტრუქტურის ცვლილება
აშშ	ფინანსური კოალიციები. წამყვან ტნკ-ებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი - უმთავრესად	გლობალურ კორპორაციებად ტრანსფორმაცია. საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსების	პუი უმთავრესად მიემართება მომსახურების სფეროში , შენარჩუნებული	სტრუქტურის გლობალიზაცია გეოცენტრული საერთაშორიო კოლექტივი. ვირტუალური

	მასობრივი წარმოების კუთხით	ჩამოყალიბება.	ა პუი-ს მაღალი მაჩვენებელი	კომპანიები
გერმანია	მსხვილი კომპანიები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ბანკებთან. სჭარბობს კონგლომერატები. კომპანიების აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნით ბანკებს . დიდია სახელმწიფოს როლი	კონგლომერატები ადგილს უთმობებ ვიწრო სპეციალიზებულ კონცერნებს	პუი მიემართება საქმიანობის ძირითად სახეებში, უპირატესად, ევროპასა და აშშ-ში. აქტიურია შერწყმები და შთანთქმები ევროპის, აშშ-სა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კომპანიებთან	
საფრანგეთი	კომპანიები თავს იკავებენ უცხოურ კომპანიებთან შერწყმისგან. დიდია სახელმწიფოს როლი	კორპორაციების ეროვნულ სისტემაში აღწევს უცხოური კაპიტალი	მიმდინარეობს ევროპის სხვა ქვეყნების კომპანიებთან ინტეგრაცია	
იაპონია	სიუდანები-6 გიგანტური ჯგუფი, რომელთა ბირთვია მძიმე მრეწველოვა. ოლიგოპოლისტუ	კრიზისულ პერიოდებში სიუდანები მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდიან,	ალიანსები ევროპულ და აშშ-ს კომპანიებთან. აქტიურდება პუი წარმოების	სტრუქტურის რეგიონალიზაცია და მართვაში უცხოელ მენეჯერთა დაშვება

	რი სტრუქტურა, ბანკებისა და სავაწრო კომპანიების მკაცრი კონტროლი	მაგრამ გლობალური კომპანიები კვლავ ცოტაა	უფრო ეფექტიანი სისტემის ფორმირების მიზნით	
სამხრეთი კორეა	ოჯახური კონგლომერატების-ჩებოლების სისტემა, რომელბიც სახელმწიფოსთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი	სახელმწიფო ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს ჩებოლების რეფორმირების მიზნით	კომპანიების შთანთქმა ხდება აშშ-სა და ევროპის ტნკ-ების მიერ	
დიდი ბრიტანეთი	დიდია I და II თაობის ტნკ-ების როლი. მჭიდრო კავშირები არსებობს აშშ-ს ტნკ-ებთან	ხდება ტნკ-ების მოდერნიზაცია, იქმნება გლობალური კორპორაციები, შენარჩუნებულია მჭიდრო კავშირი აშშ-ს ტნკ-ებთან	შერწყმები აშშ-ს ტნკ-ებთან	მართვაში უცხოელ მენეჯერთა დაშვების მაღალი დონე

მექსიკა	გიგანტური საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები, რომლებსაც აკონტროლებს სახელმწიფო	ლიბერალიზაციის სედეგად წამყვანი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები ძლიერდებიან. წარმოიქმნებიან საკუთრივ ტნკ-ები	აქტიურდება მონაწილეობა საერტაშორისო სტრატეგიულ ალიანსებში. პუი ხორციელდება აშშ-ს სამხრეთ შტატებსა და ლათინური ამერიკის ქვენებში	

წყარო: Пививаров С. Эю Тарасевич Л. С. Майзель А. И. Международный Менеджмент, Питер, 2005 gv. 89,

თავისი სტრუქტურით ტნკ-ები და გლობალური კომპანიები მაღალინტეგრირებული გაერთიანებებია. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც კორპორაციული მთლიანობა, დაფუძნებული სააქციო კაპიტალში მონაწილეობაზე. ორიენტაცია ხდება კომპანიის საერთო სტრატეგიულ მიზნებზე, გააჩნიათ მართვის ერთიანი, ვერტიკალური სისტემა და კონტროლის ერთი ცენტრი ჰოლინგური კომპანიის, ბანკის ან ურთიერთდაკავშირებული კომპანიების სახით. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ საწარმოო, სავაჭრო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ტრანსეროვნულ ჯგუფებს.

ინტეგრირებული სტურქტურები წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებენ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების სახით, რომელთა სტრუქტურაში შედის დედა კომპანია და აქციონერულად მასთან დაკავშირებული შვილობილი და ასოცირებული კომპანიები. ინტეგრირებული გაერთიანებების

ფუნქციონირებაში სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებები.

აშშ-ში ფუნქციონირებენ ორგვარი ტიპის ინტეგრირებული გაერთიანებები: 1) გაერთიანება, რომელიც ჩამოყალიბებულია სამრეწველო კომპანიის გარშემო და 2) გაერთიანება, რომელიც შექმნილია ბანკის გარშემო.

თანამედროვე პირობებში აშშ-ს კომპანიებს ურთიერთობები აქვთ ტრადიციულ ჯგუფებს გარეთ მყოფ კომპანიებთან.

გერმანული ტნკ-ების თავისებურებაა მჭიდრო კავშირები ბანკებსა და არაფინანსური სფეროს კომპანიებს შორის. ბანკების ირგვლივ შექმნილია ინტეგრირებული საფინანსო-სამრეწველო გაერთიანებები, რომლებიც შედგება მსხვილი სამრეწველო-სავაჭრო კომპანიებისაგან. ასევე, გამოკვეთილი თავისებურებაა სააქციო კაპიტალში კომპანიების ურთიერთმონაწილეობის გარკვეული ხარისხი.

ფრანგულ ტნკ-ებში შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების კონტროლისათვის გამოიყენება ფინანსური მეთოდები. ფინანსური ცენტრი შეიძლება ორგანიზებული იყოს მეთაური კომპანიის ან ჰოლდინგური კომპანიის ფორმით. ფრანგული ტნკ-ები ტრადიციულად სიფრთხილით ეკიდებოდნენ სხვა ქვეყნების ტნკ-ებთან თანამშრომლობას და უპირატესად, ქვეყნის შიდა ინტეგრაციას ესწრაფვოდნენ. 1990-იანი წლებიდან იზრდება ფრანგულ ტნკ-ებში უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა. ისინი ფლობენ ყოველი ოთხიდან 3 ტნკ-ის აქციათა პაკეტს.

იაპონური საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები არაიერარქიულ სტრუქტურებს წარმოადგენენ, რომლებშიც ფართოდაა გავრცელებული აქციების ჯვარედინი ფლობა. ბირთვი, რომლის გარშემოც სტრუქტურა ყალიბდება, არის ერთ-ერთი წამყვანი ბანკი. სტრუქტურაში, ასევე, ჩართულია მსხვილი სავაჭრო კომპანია, სადაზღვევო კომპანია, საინვესტიციო კომპანია და ერთი ან რამდენიმე ვერტიკალურად ინტეგრირებული სამრეწველო გაერთიანება. ფინანსური ჯგუფის კონტროლი ხორციელდება სააქციო კაპიტალის დაახლოებით 20 %-ის ფლობით.

სათავო კომპანიის როლს ასრულებს არა ერთი ფირმა, არამედ რამდენიმე ფირმის ჯგუფი, რომელიც საკუთარ სფეროში მოქმედებს და ასრულებს საკუთარ ფუნქციებს, ხოლო ბანკი ასრულებს სისტემის წარმომქმნელ როლს.

სამხრეთ კორეაში ტნკ-ები წარმოადგენენ იერარქიულ პირამიდას, რომელსაც საფუძვლად უდევს ოჯახური კაპიტალი. სამხრეთ კორეის საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები გამოირჩევიან დივერსიფიკაციის მაღალი ხარისხით და საქმიანობენ მრეწველობის წამყვან დარგებში.მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელია ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე და ორიენტირება აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებსა და აშშ-ზე. თანამედროვე ეტაპზე კორეული ჩებოლები გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან, რაშიც აქტიურია სახელმწიფოს როლი.

ისტორიულად ტნკ-ები ორგანიზებულნი იყვნენ იერარქიული ფორმით, რაც დედა კომპანიას აძლევდა ძლიერი კონტროლის შესაძლებლობას. გლობალიზაციის პროცესების გავლენის გამო ორგანიზების ასეთი ფორმა აღარ არის ეფექტიანი, რადგან საჭირო ხდება მეტი მოქნილობა. გლობალურ კომპანიებს ესაჭიროებათ გლობალური ინტეგრირებისა და ლოკალური ადაპტირების დაბალანსება, რაც ორგანიზაციულ ფორმებშიც აისახება. გლობალურ კორპორაციებში განვითარებულია ორგანიზაციათაშორისი ურთიერთობები, რაც უკავშირდება ფირმათაშორისი თანამშრომლობის სტრატეგიების აქტიურ გამოყენებას და შესაბამისად, საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის არაიერარქიულ ფორმების გავრცელებას.

1.2. ტრანსეროვნული კომპანიების როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას მისი გლობალიზაცია წარმოადგენს. ამჟამად სულ უფრო ძლიერდება ეროვნული ეკონომიკის ინტერესების აბსოლუტიზაციის პერიოდიდან მის ახალ ეტაპზე გლობალური ეკონომიკაზე გადასვლა, რაშიც გადამწყვეტ როლს ტრანსეროვნული კომპანიები ასრულებენ.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე გასაღების ბაზრების, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, ტნკ-ებისა და ჩვეულებრივ კომპანიებს შორის ზღვარი რამდენადმე პირობითია. ამჟამად, გაეროს კლასიფიკაციით, ტნკ-ებს მიეკუთვნება ფირმები: რომელთაც საწარმოები აქვთ არანაკლებ ორ ქვეყანაში: მათ შორის ხორციელდება აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა (რესურსებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთგაცვლა); ცენტრალიზებულად ხორციელდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა.

ტნკ-ების საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამი მაჩვენელბლის საშუალო მნიშვნელობას: უცხოური აქტივების წილს აქტივების საერთო მოცულობაში; საზღვარგარეთული გაყიდვების წილს გაყიდვების მთლიან მოცულობაში; საზღვარგარეთულ ფილიალებში მომუშავეთა წილს დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის ზრდასთან ერთად იზრდება საზღვარგარეთული ფილიალების როლი ტნკ-ების საქმიანობაში.

ეკონომიკის გლობალიზაციაში წამყვანი როლი ამერიკულ ტნკ-ებს ეკუთვნის, რომლებიც, პირდაპირი ინვესტიციებით, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ გლობალური წარმოების ფორმირებაზე. ამ გზით იქმნება აშშ-ს მთელი საწარმოო სიმძლავრეების 20%-ზე მეტი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ამერიკული კაპიტალის მიერ კონტროლირებად საზღვარგარეთულ საწარმოებში დასაქმებული იყო 8,9 მლნ მუშა-მოსამსახურე, რაც შეადგენდა აშშ-ს ტნკ-ებში დასაქმებულთა 1/3-ს. მათი საზღვარგარეთული აქტივები უდრიდა 4.6 ტრლნ, ხოლო წარმოებული პროდუქციის ღირებულება აჭარბებდა 650 მრლდ დოლარს.

ამჟამად ტნკ-ები ქმნიან მსოფლიო მშპ-ს 1/4-ს. ამასთან, ეს არის მაღალ მეცნიერებატევადი ინოვაციური პროდუქცია, რომელიც არსებითად განსაღვრავს მსოფლიო მეურნეობის სახეს. კერძოდ, მობილური ტელეფონების რეალიზაციის 4/5 მოდის 6 ტნკ-ზე, მათ შორის ნოკიაზე - 40%, მოტოროლაზე - 15%, სამსუნგზე - 14 % და ა.შ.ტნკ-ები მოქნილად იყენებენ მსოფლიოში თავიანთ გაბოროტებულ მდგომარეობას, მათი კაპიტალი არაიშვიათად უხეშად არღვევს სუვერენულ სახელმწიფოთა საზღვრებს, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციით ბატონდებიან მსოფლიო ეკონომიკაში და საკუთარ პირობებს კარნახობენ სუვერენულ სახელწიფოებს, საზღვარგარეთული მოგების ნახევარზე მეტს ქაჩავენ ბაზირების ქვეყანაში.

გლობალიზაციის ეპოქაში ტნკ-ების ფაქტორი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას. ტრანსნაციონაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებასა და მისი მდგრადი მიღების საიმედოობას. ტნკ-ები დიდ გავლენას ახდენენ შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაზე. ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული ინსტიტუტების - შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბერგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკისა და სხვათა წარმატებულ გადატანასა და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საწარმოო, საინვესტიციციო და სავაჭრო ფუნქციებს, როგორიცაა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება, ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცება და სხვ.

დადებით მხარეებთან ერთად, ტნკ-ების საქმიანობას გააჩნია ნეგატიური ასპექტებიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია : შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში კაპიტალის მიმღები ქვეყნისათვის არაპერსპექტიული მიმართულების

თავს მოხვევის შესაძლებლობა; მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების განვითარება; მათი დაბალი ხარისხისა და ფალსიფიცირებული საქონლის გამსაღებლად გადაქცევა; საინვესტიციო და საწარმოო პროცესების განვითარებაში რისკების ზრდა; შიდა ტრანსფერტული ფასების გამოყენებით მოგების დიდი ნაწილის ბაზირების ქვეყანაში გადაქაჩვა და სხვ.

მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ტნკ-ებს მადომინირებელი ადგილი უკავიათ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში. სამომავლოდ, ტრანსნაციონალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, სულ უფრო გაიზრდება მათი ადგილი და როლი გლობალურ წარმოებასა და ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში.

ტრანსეროვნული კომპანიების და ადამიანის უფლებათა ურთიერ-თგადაკვეთა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ტრანსეროვნული კომპანიების მიერ განხორციელებული არაერთი ქმედება იქნა მიჩნეული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღიარებული ადამიანის უფლებების შელახვად და უგულვებელყოფად. რა შეფასება შეიძლება მიეცეს ტრანსეროვნული კომპანიების მიერ მასპინძელ ქვეყანებში განხორციელებულ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა დასაქმებულთა დისკრიმინაცია, ნავთობის მოპოვების პროცესში, ტოქსიკური ე.წ. „წარმოქმნილი წყლის“ გაშვება წყალში, რომელიც საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის იქნა მოხმარებული. რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის ისეთ დაზიანებებს, როგორიცაა კანის და სხვადასხვა მძიმე დაავადებები. ბავშვთა შრომის გამოყენება მაშინ, როდესაც ათასობით ბავშვი, დღე-ღამეში ათი ან ცამეტი საათის განმავლობაში მუშაობს და მათი ანაზღაურება საათში ორმოც ევროცენტზე დაბალია. ეს ბავშვები ვერ ღებულობენ განათლებას და შესაბამისი სამუშაოს შესრულებისას შეხება აქვთ ჯანმრთელობისათვის საშიშ პესტიციდებთან [გ.ხატიძე 2016;10].

ზემოაღნიშნული და ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მიერ განხორციელებული ასევე სხვა მრავალი ქმედება, წარმოადგენს ამ

კორპორაციების მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღიარებული ადამიანის უფებების შელახვასა და უგულვებელყოფას.

საჭიროდ მიმაჩნია მეტი სიცხადე შევიტანო, თუ ადამიანის რომელი უფლებების შელახვასა და უგულვებელყოფას აქვს ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ძირითადად საუბარია ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე, რომელთა „ფართო ერთობლიობა“ გათვალისწინებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით. აღნიშნული პაქტით აღიარებულია რიგი უფლებები, მათ შორის ცხოვრების სათანადო დონის უფლება, შრომის უფლება და უფლებები მუშაობისას, განათლების და სხვა უფლებები.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მოსაზრების თანახმად ბიზენსი უმთავრესად ორინტირებულია მოგების მიღებაზე, ბიზნეს საქმიანობის გავლენა საზოგადოებაზე აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული იქიდან გამომდინარე, რომ „ბიზნესი და საზოგადოება საკმაოდ მჭიდროდ და დინამიურად არიან ურთიერთდაკავშირებულნი“. ტრანსეროვნულ კომპანიათა და ზოგადად ბიზნეს საქმიანობა არ მიმდინარეობს „ჩაკეტილ სივრცეში“ , ბიზნესი და საზოგადოება საკმაოდ აქტიურად ურთიერთქმდებენ ერთიმეორეზე.

მიუხედავად იმისა, რომ უცხო კაპიტალის შედინებამ მასპინძელ ქვეყანაში, დიდი ალბათობით, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, ეკონომიკური წინსვლა, თავის მხრიც, ხშირ შემთხვევაში, არ განაპირობებს მასპინძელ ქვეყანაში ადამინის უფლებების დაცვის მაჩვენებლის ზრდას.

ეკონომიკური გლობალიზაციის, მისი თანმდევი შედეგებისა და შესაბამისი რეალობების გათვალისწინებით, შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ მძლავრი ტრანსეროვნული კომპანიების გავლენა მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებზე, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, საჭიროებს იმას, რომ აღნიშნული ურთიერთქმედებისას მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდეს ადამიანის უფლებების როგორც დაცვაზე, ისე შესაბამის პასუხისმგებლობაზე მათი დარღვევისას.

აღნიშნული კი შესაბამისი მოქნილი და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების არსებობას მოითხოვს[გ.ხატიძე 2016; 13].

1.3.ტრანსეროვნული კომპანიების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში, ისევე, როგორც ქვეყანათა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ტრანსეროვნული კომპანიებისა და ბანკების (ტნკ,ტნბ) როლი და ადგილი მნიშვნელოვნად იზრდება. გლობალიზაციის პროცესებს ტნკ-ები და ტნბ-ები აღრმავებენ და უფრო მასშტაბურს ხდიან. ტნკ-ების უმეტესობას საზღვარგარეთ აქვს ფილიალებისა და გაყიდვების დიდი ნაწილი, სწორედ ასეთი კომპანიებია გლობალური ურთიერთობების ნაწილი [რ.ფუტკარაძე 2008;374]. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს უმსხვილესი ტნკ-ების გაყიდვების მოცულობა ხშირ შემთხვევაში ბევრჯერ აღემატება ზოგიერთი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას. გლობალიზაცია XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციაა. ამერიკელი მეცნიერი თ.ფრიდმანი მიიჩნევს, რომ : „გლობალიზაცია სახელმწიფოთა, ბაზრების, ტექნოლოგიების შეუქცევადი ინტეგრაციაა, რომელიც საშუალებას აძლევს სახელწიფოებს, კორპორაციებს, ცალკეულ ინდივიდებს, რათა მათ მიაღწიონ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უფროს სწრაფად და იაფად, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა შესაძლებელი“ . ტნკ-ები ყოველივე აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, ისინი ხელს უწყობენ მსოფლიო მეურნეობის საქონლისა და მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ბაზრებს ერთიან ბაზრად გადაქცევაში.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია რამდენიმე თავისებურება. პირველი, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, მსოფლიოში ვაჭრობა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება

ვიდრე პროდუქციის წარმოება. მხოლოდ 15 ქვეყანაზე მოდის მსოფლიო ექსპორტის 70 %-ზე მეტი. განვითარებად ქვეყნებს კი მსოფლიო ვაჭრობაში მცირე წილი უჭირვთ. მეორე, საერთაშორისო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მსოფლიოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.ინვესტიციების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია განვითარებულ ქვეყნებში. 20 ქვეყანაზე მოდის საერთაშორისო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 95 %, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებზე ერთად მოდის 5%, აფრიკის ქვეყნებზე პირდაპირი ინვესტიციების მხოლოდ 1.5% მოდის. მესამე, ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ფულადი სახსრების ბრუნვის მოცულობა ბევრჯერ უფრო მეტად იზრდება ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობა. ფინანსური ბაზრები მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასა და ფუნქციონირებას დიდად უწყობენ ხელს. სავალუტო ბირჟაზე სან-ფრანცისკოში, ნიუ-იორკში, ლონდონში, ფრანკფურტში, სინგაპურში, ჰონკონგსა და ტოკიოში ყოველდღიურად მოძრაობს თანხა, რომელიც ბევრჯერ მეტია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეზერვებზე. მეოთხე, ტრანსეროვნული კომპანიები, მსოფლიოში ტნკ-ის რაოდენობა 70-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და უდიდესი ნაწილი მოდის ხუთ ქვეყანაზე (აშშ, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) . მსოფლიოს 20 უდიდესი ტნკ-ის ბრუნვა გაცილებით მეტია, ვიდრე მსოფლიოს 80-ზე მეტი განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთად. თანამედროვე ბიზნესი ტნკ-ის საქმიანობაა, იმ გაგებით, რომ აღნიშნული კომპანიების აქტივები, ყოველწლიური რეალიზაცია მილიარდობით დოლარს აღემატება. ტნკ-ები თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული ქვეყნების გავლენის სფეროების გაფართოების ერთ-ერთ ინსტრუმენტად ითვლება[რ.ფუტკარაძე 2008].

მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი სუბიექტები არიან ტნკ-ები, ისინი მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში აქტიურად მონაწილეობენ ექსპორტის, ერთობლივი წარმოებისა თუ პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით. ნებისმიერი ტნკ საერთაშორისო ვაჭრობას, საგარეო ბაზრებზე ექსპორტს დიდ

მნიშვნელობას ანიჭებს. ბოლო პერიოდში ტნკ-ების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. ასევე იზრდება ტნკ-ების მიერ განხორცილებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფია და მასშტაბები. განასხვავებენ ორი სახის საერთაშორისო კორპორაციას: 1) ტრანსეროვნული კომპანია - ეს ისეთი კომპანიაა, რომელიც ეკუთვნის ერთ ქვეყანას, ხოლო პირდაპირ ინვესტიციებს ახორცილებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2) მულტინაციონალური კორპორაციები (მნკ) ეს ისეთი კომპანიაა, რომელიც ეკუთნის 2 ან რამდენიმე ქვეყანას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთელ მსოფლიოში ხორციელდება. საერთაშორისო კომპანიების უმრავლესობას გააჩნია ტნკ-ის ფორმა [რ ფუტკარაძე 2008].

ბოლო პერიოდში ხშირად გამოიყენება ტერმინი „გლობალური კომპანია“, „გლობალური ფირმა“, რაც გამოწვეულია გლობალიზაციის პროცესებში მათი მაღალი მნიშვნელობით. პროფ. ამსტრონგის და პროფ. კოტლერის აზრით „გლობალური ფირმა არის ფირმა, რომელიც ერთზე მეტ ქვეყანაში მუშაობს შედეგად, იღებს კვლევისა და განვითარების, წარმოების, მარკეტინგულ და ფინანსურ უპირატესობას, ხარჯებისა და რეპუტაციის მხრივ, რაც მხოლოდ ქვეყნის შეგნით მოქმედი კონკურენტებისთვის მიუწვდმელია“. აღსანიშნავია, რომ ტნკ-ების მიერ განხორციელებული პუი-ით ბოლო წლებში პირველ ადგილზეა აშშ-ს. პუი-ის დაახლოებით 70% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, ხოლო 30% განვითარებად ქვეყნებზე. აშშ-ის ტბკ-ის მიერ საზღვარგარეთ გაყიდული ყოველი 5 აშშ დოლარიდან , 4 მოდის აღნიშნული ტნკ-ის უცხოური ფილიალებიდან განხორციელებულ გაყიდვებზე.

XX საუკუნის 60-იან წლებში გაერო ტნკ-თა რიცხვს მიაკუთვნებდა კომპანიებს 100 მლნ დოლარის წლიური ბრუნვის ოდენობით და არანაკლებ ექვს ქვეყანაში განთავსებული ფილიალებით. დღეს გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნეროვნული კომპანიების კოდექსის თანახმად, ტნკ-ის დამახასიათებელი ნიშნებია:

- კომპანიის წლიური გაყიდვების მოცულობა 1 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი.

- კომპანიის ფილიალები არანაკლებ 6 ქვეყანაში.
- კომპანიის უცხოური აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებთან არანაკლებ 25-30%.
- კომპანიის რეალიზაციაში საგარეო ბაზრის წილი არანაკლებ 20-30 %.

აღსანიშნავია, რომ წამყვანი ტნკ-ების სახელწოდებები და მათ მიერ წარმოებული საქონელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოფით სიტყვებსაც კი წარმოადგენს, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ისე ყველაზე დაბალგანვითარებადში. ტნკ-ების რეალიზაციის დიდი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, მოსახლეობის მაღალი მყიდველობითუნარიანობიდან გამომდინარე. ასეთი კომპანიებია მაგალითად Generals Motors, Coca-Cola,Siemens,McDonalds, Nokia, DaimlerChrystler, Procter&Gamble, IBM, Xerox, Gillette, Nestle, Philips, Exxon,Alcatel, Honda, Sony, BMW, Volvo, Philip Morris, Motoralola, Bosch, Johson&Johson, Volkswagen,Colgate, Ford, Kodak, Sony, Toyota, Porsche,Fiat, BP და სხვა. ტნკ-ის „ეროვნულობა“ პირობით ხასიათს ატარებს და მასში იგულისხმება მისი მიკუთვნება რომელიმე სახელმწიფოსადმი. კომპანიის „ეროვნულობის“ განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმია მისი პერსონალური სტატუსის განსზაღვრა. ტერმინს „პერსონალური სტატუსი“ ცნობილი გერმანული მეცნიერი ლეო რააპე განმარტავს, როგორც „იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის მიხედვითაც კომპანია წარმოიშობა, ფუნქციონირებს და კოტრდება“[Th. Panthem 1988 ;8]. კომპანიას ფიზიკური პირისგან განსხვავებით, არ გააჩნია არც მოქალაქეობა და არც საცხოვრებელი ადგილი, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრებოდა მათი რომელიმე ქვეყნისადმი კუთვნილების საკითხი. ამიტომ არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ, რომელიმე ქვეყნის კუთვნილებაა ესა თუ ის ტნკ.

პირველი ტნკ-ების ძირითადი მიზანი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში რესურსების იაფი წყაროების ხელში ჩაგდება იყო. კომპანიები კი ამას წარმატებით აღწევდნენ, რადგან რესურსების ძირითადი მარაგი თავმოყრილი იყო და არის განვითრებად ქვეყნებში, ხოლო გამოიყენება

განვითრებულ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოც მოხდა მათი ინტესესების სფეროში. ისტორიულად, საქართველოთი ევროპული ფირმების დაინტერესების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მისი გეოგრაფიული მდებარეობა იყო. ამიერკავკასიის ეკონომიკაში დამკვირედრების თვალსაზრისით, ერთ-ერთი წამყვანი ადილი ეკუთვნოდა გერმანული კომპანიების კაპიტალს. უცხოელთა შორის გერმანული კაპიტალის წარმომადგენლებმა პირველებმა დაიწყეს კონკურენციული ბრძოლა ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში დასამკვიდრებლად. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის მანგანუმს საერთაშორისო მასშტაბით. პირველ მსოფლიო ომამდე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-50%-ს. გერმანიის მზარდი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურის მანგანუმზე. 1912 წლისათვის ჭიათურის მანგანუმის მთელი ექსპორტის 38 % გერმანიაზე მოდიოდა. მანგანუმის მადანზე გერმანიის მრეწველობის მოთხოვნილების 60%-ს ჭიათურა აკმაყოფილებდა.

მაგალითად, კომპანია „სიმენსი და ჰალსკემ“ (1966 წლიდან სს “SIEMENS”) თავისი საქმინობა ამიერკავკასიაში XIX საუკუნის 50-იან წლებში სატელეგრაფო ხაზების გაყვანით დაიწყო. კომპანია ფართო საქმიანობას ეწეოდა ტელეგრაფის ხაზების მშენებლობაში, ნავთობისა და სპილენძის წარმოებაში, ძვირფასი ლითონებისა და კობალტის მოპოვებაში და ა.შ. აღნიშნულ ფირმას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამიერკავკასიის ელექტროსადგურის მშნებელობასა და ელექტროტექნიკური საქონლის შემოტანა-რეალიზაციაში. XIX საუკუნის ბოლოს თითქმის მთელი კავკასია დაიფარა ტელეგრაფის ქსელით. ამიერკავკასიის მსოფლიო სატელეგრაფო სისტემის ერთ-ერთ ცენტრად გადაქცევამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააძლიერა მის მიმართ სხვა კომპანიების ინტერესი. ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობამ ფირმა „სიმენსი და ჰელსკე“-ს მნიშვნელოვანი შემოსავლები მოუტანა. ფირმა ცდილობდა მაქსიმალური მოგების მიღებასა და კაპიტალის დაგროებას, მან გარკვეულად მიაღწია ამ მიზანს.

ტნკ-ების ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია, რომ კომპანია თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას საზღვარგარეთის ბაზარზე ახორციელებს, რითაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ვაჭრობაზე. კომპანიის ზოგიერთი ფილიალი საზღვარგარეთის ქვეყნებშია განთავსებული. კომპანიის მესაკუთრეებს სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები, ხშირად სახელწიფოებიც კი წარმოადგენენ. ბოლო წლებში ტნკ-ების საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია კომპანიათა ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი. იგი შედგება სამი მაჩვენებლისაგან: 1) კომპანიის საკუთრება საზღვარგარეთ, 2) კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა საზღვარგარეთ და 3) კომპანიის რეალიზაცია საზღვარგარეთ. ინდექსი გაიანგარიშება აღნიშნული სამი მაჩვენებლის საფუძველზე. უცხოური აქტივების წილი მთლიან აქტივებში. უცხოეთში განხორციელებული გაყიდვები წილი კომპანიის მთლიან გაყიდვებთან. კომპანიის უცხოურ ფილიალებში დასაქმებულია წილი თანამშრომელთა მთლიან რაოდენობასთან. აღნიშნულთა შორის დიდი ყურადღება ექცევა კომპანიის საკუთრებას საზღვარგარეთ.

ტრანსნაციონალიზაციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა: Nestle(შვეიცარია), Unilever(ნიდერლანდები), Philips Electronics(ნიდერლანდები), Bayer(გერმანია), Total (საფრანგეთი), Gillette(აშშ), Exxon (აშშ), Alcatel (საფრანგეთი),Honda (იაპონია), Sony(იაპონია) BMW(გერმანია), Volvo(შვედეთი), BASF(გერმანია),McDonalds (აშშ), Volkswagen Group(გერმანია), IBM (აშშ), Siemens (გერმანია), Bosch (გერმანია), Philio Morris (აშშ), Daewoo(სამხრეთ კორეა) , Motoralola (აშშ), Jonson&Jonshon (აშშ), Xerox (აშშ) და სხვა. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი გვიჩვენებს თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ტნკ-თვის უცხოური ფილიალები და საგარეო ბაზრები, რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი მით მეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის მისი უცხოური ფილიალების არსებობა-საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ტნკ-ების გაყიდვების მოცულობა აღემატება მსოფლიო ვაჭრობის 25 %-ს , ამასთან, ტნკ-ის მიერ წარმოებული პროდუქციის 30-35% საზღვარგარეთის ფილიალებზე მოდის.

ტნკ-ების უცხოური ფილიალების მიერ რეალიზაციის მოცულობა 20-30%-ით უფრო მეტად იზრდება, ვიდრე, ტნკ-ების ექსპორტი.

გლობალური კომპანიის გადმოსახედიდან მსოფლიო ერთიან ბაზრად აღიქმება. იგი მინიმუმამდე ამცირებს ნაციონალური საზღვრების მნიშვნელობას და ავითარებს ზენაციონალურ ბრენდებს. იგი ზრდის კაპიტალს, მოიპოვებს მასალებს და კომპანენტებს, აწარმოებს თავის საქონელსა და მართავს მარკეტინგს იქ, სადაც ამის კეთება საუკეთესოდ შეიძლება. მაგალითად, Ford-ის „მსოფლიო სატვირთო მანქანის“ კაბინას ევროპაში ამზადებენ, ძარას კი - ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი ბრაზილიაშია აწყობილი, გასაყიდად კი მისი ექსპორტი აშშ-ში ხორციელდება. Otis Elevator-ი თავისი ლიფტების კარების სისტემებს საფრანგეთიდან იღებს. ზოგიერთი მექანიზმების ნაწილებს ესპანეთიდან, ელექტოტრონიკას - გერმანიიდან, ხოლო სპეციალურ ელექტროძრავებს -იაპონიიდან. აშშ-ში კი იგი მხოლოდ სისტემებს აწყობს. ამიტომ, გლობალური ფირმის უპირატესობა მსოფლიო მაზარზე მისი საქმინობის დაგეგმვას, ექსპლუატაციასა და კოორდინაციას ემყარება.

თანამედროვე ეტაპზე ტნკ-ების განვითარების ძირითადი თავისებურება მსოფლიო მასშტაბის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი ქსელის შექმნაში მდგრომარეობს. ფილიალების შესაქმნელად ქვეყნის შერჩევისას ერთ-ერთი მთავარი როლი დანახარჯების ანალიზს ენიჭება (მაგ. საშუალო ხელფასის სიდიდე, ნედლეულის ფასი, გადასახადების სიდიდე, სარეალიზაციო ბაზარი და სხვა), რაც ხშირად განვითარებად ქვეყნებში უფრო დაბალია. ამიტომ ბოლო წლებში ტნკ-ების ფილიალების რაოდენობა განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ხელს უწყობს განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ბოლო პერიოდში ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობა გააქტიურდა ჩინეთსა და ინდოეთში.

კომპანია „COCA-COLA” , რომელიც XIX საუკუნის ბოლოს პირველად აფთიაქებში გამოჩნდა, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი, გლობალური და აღიარებული ბრენდია. კომპანია მსოფლიოს უალკოჰოლო სასმელების ბაზრის

ერთ-ერთი ლიდერია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის გაყიდვების 80%-ზე მეტი საგარეო ბაზარზე მოდის და მისი პროდუქცია მსოფლიოს დაახლოებით 200 ქვეყანაში იყიდება.

კომპანია „DAIMLERCRCHYLER“-ის 550 ფილიალიდან დიდი ნაწილი საზღვარგარეთაა, მათ შორის აშშ-ში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკაში, კანადაში, მექსიკაში, ავსტრიაში, არგენტინაში, ინდონეზიაში, თურქეთში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, დიდი ბრიტანეთში, ბელგიაში, შვედეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, იაპონიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში.

კომპანია “PROCTER&GAMBLE”-ს , რომელიც 1837 წელს დაარსდა, პირველი ფილიალი, ქარხანა ჯერ კიდევ უცხოეთში 1915 წელს გახსნა, კერძოდ “P&G” კანადაში, შემდეგ ფილიალების გახსნა კომპანიისთვის პრიორიტეტული გახდა. დღეს კი კომპანიას 70-ზე მეტ ქვეყანაში 120-ზე მეტი ქარხანა (ფილიალი) გააჩნია და წარმოებულ პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს 180-ზე მეტ ქვეყანაში. კომპანიის რეალიზაციის ,მოცულობამ მსოფლიოს მასშტაბით 60 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო წმინდა მოგებამ 10,6 მლრდ. აშშ დოლარს , თანამშრომელთა რაოდენობა 106000 (2016 წ.)

კომპანია „VOLKSWAGEN” , რომელიც დაარსებულია 1937 წელს, მოკლე დროში სწრაფად განვითარდა. დღეს უკვე კონცერნის შემადგენლობაშია შემდეგი მარკები: “AUDI”, “SEAT”, “SKODA”, “ROLS-ROYCE/BENTLEY” და “LAMBORGHINI”. კომპანია გერმანიასა და საზღვარგარეთის ფილიალებში 5 მილიონზე მეტ ავტომობილს აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ მისი მთლიანი წარმოების 60-65% საზრვარგარეთზე მოდის, ისევე, როგორც გაყიდვების 70%. კოპმანიას უჭირავს მსოფლიოს მსუბუქი ავტომობილის ბაზრის 12,2% და ევროპის ბაზრის - 18.7%. ევროპაში კომპანიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და ბელგიის ბაზარი.

ტნკ-ები გლობალური ურთიერთობებში ყველანაირი კანონიერი მეთოდებითა და ხერხებით ცდილობენ, გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, ფილიალების ქსელი და გაზარდონ მოგება. ხშირია შემთხვევევბი, როცა

ფინანსურად ძლიერი ტნკ-ების მიერ სხვა ტნკ-ების შეძენა, შთანთქმა, შერწყმა ხდება, ასევე ადგილი აქვს კომპანიათა გაყოფას. გლობალოზაციის პირობებში ხშირად კომპანიები, რომლებიც კონკურენციას ვერ უძლებენ, იძულებულნი არიან შეუერთდნენ სხვა კომპანიას ან გაერთიანდნენ.

მიმაჩნია, რომ გლობალიზაციის ერთ-ერთი საფუძველია საკუთრება საზღვარგარეთ, რასაც ტნკ-ები მნიშვნელოვნად ზრდიან, ასევე - თავისუფლება და თანასწორობა. გლობალური საინფორმაციო სისტემები კი ამ იდეოლოგიას წარმატებით ნერგავენ მსოფლიოში. დღეს მსოფლიოში თანდათან მკვიდრდება ერთიანი საბაზრო თამაშის წესები. სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებლებს შეუძლიათ ნახონ ერთი და იგივე ტელეგადაცემები და ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. თანამედროვე პირობებში ინტერნეტ-ეკონომიკა, რომელიც მოიცავს ინტერნეტ-ვაჭრობას, ინერტნეტ-რეკლამას, ინტერნეტ-ბანკინგს და ა.შ. ხელს უწყობს მნიშვნელოვნად ტკნ-ების საქმიანობის მასშტაბების ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე, სულ უფრო ფართოდ ვითარდება კომპანიების მიერ ფასიანი ქაღალდების ელექტრონულ რეჟიმში გაყიდვები. აღსანიშნავია, რომ აქციების მსოფლიო ბაზარზე საშუალო დღიური ბრუნვა 1 მლრდ. აშშ დოლარს აღემატება, აქ წამყვანი ადგილი ტნკ-ების აქციებს უკავია. გარიგების ძირითადი ნაწილი ამ ბაზარზე, ისევე, როგორც სხვა საფინანსო ბაზარზე სპეკულაციურ ხასიათს ატარებს, აქციები გადადის ხელიდან ხელში, ერთი ქვეყნიდან მეორეში.

თანამედროვე, 21-ე საუკუნის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- ქვეყანათაშორისი უპურატესობების გამოყენება;
- კაპიტალის მოძრაობა ტნკ-ის ბაზრების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან დამოუკიდებლად;

- მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში შეღწევა, რომლებიც დიდ ინვესტიციებსა და მაღალკვაკლიფიციურ პერსონალს საჭიროებენ;
- მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა;
- გლობალური საწარმოო-სავაჭრო პოლიტიკა;
- საქმიანობის დივერსიფიკაცია;
- ბიზნესის მონოპოლიზაცია;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- კომპანიის შიდა ვაჭრობის გაძლიერება.

ცნობილია, რომ ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა. ეროვნული და ეკონომიკური ინტერესები კი საქართველოს ამ კავშირში ინტეგრაციისკენ უბიძგებს. ამიტომ ევროკავშირის უძლიერესი კომპანიების შესწავლასა და საქართველოთი დაინტერესებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ევროპის ტნკ-ებს მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ მსოფლიოში. საქართველო გვერდს ვერ აუვლის გლობალიზაციის პროცესებს, ტნკ-ების საქმიანობას, რადგან ის ამ ურთიერთობების ერთ-ერთი მონაწილეა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ტნკ საქართველოს ბაზარზე საქმიანობს და საკმაოდ წარმატებულად. მიგვაჩნია, რომ პერსპექტივაში მათი საქმინობის მასშტაბები და ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზრდება. ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა კი ტნკ-ების დაინტერესებას მნიშვნელოვნად გაზრდის.

ცხრილი1.4

ქვეყნების მშპ-ის და ტოპ-10 კომპანიის შემოსავლების რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა/კომპანია	შემოსავალი
1	აშშ	17947
2	ჩინეთი	10867
3	იაპონია	4121
4	გერმანია	3356
5	გაერთიანებული სამეფო	2849
22	შვედეთი	493
23	Wallmart	482
25	ბელგია	452
32	State Grid	330
33	China National Petrolium	229
35	ისრაელი	296
36	დანია	295
37	Sinopec Group	294
38	სინგაპური	293
40	Royal Dutch Shell	272
42	Exxon Mobil	246
43	ირლანდია	238
44	Volkswagen Group	237
45	Toyota Motor Corporation	237
47	Apple	234
48	ფინეთი	230
49	British Petrolium	223
50	პორტუგალია	199

წყარო: http://forbes.ge/

თანამედროვე ეტაპზე ევროპის მსხვილ კომპანიათა შორის დიდი ნაწილი გერმანულია. 2016 წლის მდგომარეობით მსოფლიოს 10 უმსხვილესი კომპანიის ჯამურმა შემოსავალმა 3 ტრილიონ დოლარამდე შეადგინა, ხოლო მოგებამ - 118 მილიარდი დოლარი. ამავე დროს, მათ ჯამში დასაქმებული ჰყავთ 7 მილიონამდე ადამიანი. მათი შემოსავალი იმდენად მაღალია, რომ ბევრი განვითარებული ქვეყნის შემოსავალსაც (მთლიან შიდა პროდუქტს) კი აჭარბებს. თუ აღნიშნულ კომპანიებს ქვეყნების ეკონომიკის სიდიდის რეიტინგში შევიტანთ, ათივე კომპანია ტოპ 50-ში მოხვდება, ყველაზე მაღალშემოსავლიანი კომპანია "ვოლმარტი" რეიტინგში 23-ე ადგილს დაიკავებს.

ცხრილი1.5

მსოფლიოს ტოპ-10 მაღალშემოსავლიანი კომპანია

ადგილი	სახელი	წლიური შემოსავალი, მილიარდი $	მოგება, მილიარდი $	სექტორი	დასაქმებულთა რაოდენობა	ქვეყანა
1	Wallmart	482	14.7	ვაჭრობა	2 300 000	აშშ
2	State Grid	330	10.2	ელექტროენერგია	927 840	ჩინეთი
3	China National Petroleum	299	7.1	ნავთობი და გაზი	1 589 500	ჩინეთი
4	Sinopec Group	294	3.6	ნავთობი და გაზი	810 538	ჩინეთი
5	Royal Dutch Shell	272	1.9	ნავთობი და გაზი	90 000	ინგლისი
6	Exxon Mobil	246	16	ნავთობი და გაზი	75 600	აშშ
7	Volkswagen Group	237	-1.5	ავტომობილები	610 076	გერმანია
8	Toyota Motor Corporation	237	19.3	ავტომობილები	348 900	იაპონია
9	Apple	234	53.4	ტექნიკა	72 500	აშშ
10	British Petroleum	223	-6.5	ნავთობი და გაზი	79 800	ინგლისი

წყარო : http://forbes.ge/news/1792/msoflios-top-10-maRalSemosavliani-kompania

10. British Petroleum "BP" ბრიტანული კომპანიაა, რომელიც 1908 წელს დაარსდა და მისი სათავო ოფისი დღემდე ლონდონშია განთავსებული. შემოსავლების სიდიდის მიხედვით ის მსოფლიოში მე-10 ადგილს იკავებს (წინა წელს მე-6 იყო). კომპანიის წლიურმა შემოსავალმა 223 მილიარდი დოლარი შეადგინა. BP-ის საქმიანობის სფერო ნავთობისა და გაზის მოპოვება, ტრანსპორტირება და მიწოდებაა. ბოლო მონაცემებით, მას დასაქმებული ჰყავს 80 ათასამდე ადამიანი. მიუხედავად მაღალი შემოსავლისა, გასულ წელს კომპანიამ 6.5 მილიარდი დოლარის ზარალი განიცადა. ზარალი ორმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა: 1. 2010 წელს მექსიკის ყურეში ჩაღვრილი ნავთობის ჯარიმის საფასურად 20.8 მილიარდი დოლარის გადახდაზე მოაწერა ხელი; 2. ნავთობის ფასების დაცემა, რადგან გარკვეულ საბადოებზე ნავთობის მოპოვების თვითღირებულება 60 დოლარამდეა.

9. Apple "ეპლი" ამერიკული კომპანიაა, რომელიც 1976 წელს დააარსეს სტივ ჯობსმა (გარდაიცვალა 2011 წელს), სტივ უოზნიაკმა და რონალდ უეინმა. თუმცა ერთ წელიწადში უეინმა თავისი წილი ჯობსსა და უოზნიაკს მიჰყიდა. კომპანია სამომხმარებლო ელექტრონიკასა და მასთან დაკავშირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას აწარმოებს. მისი სათავო ოფისი კალიფორნიაში, ქალაქ

კუპერტინოში მდებარეობს. “ეპლის” წლიურმა შემოსავალმა 234 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო მოგებამ - 53.4 მილიარდი დოლარი. გასულ წელთან შედარებით “ეპლის” მოგება 35%-ით გაიზარდა. ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმოგებიანი და სწრაფად განვითარებადი კომპანიაა. 2014 წელს შემოსავლების მიხედვით მას მსოფლიოში მე-15 ადგილი ეკავა. დღეისათვის კომპანიაში 72.5 ათასი ადამიანია დასაქმებული.

8. Toyota Motor Corporation “ტოიოტა” ყველაზე მაღალშემოსავლიანი იაპონური კომპანიაა, შესაბამისად, მსოფლიოს ტოპ-ათეულში იაპონიიდან მხოლოდ ის ხვდება. “ტოიოტა” 1937 წელს, კიიჩირო ტოიოდამ დააარსა. კომპანიის სათავო ოფისი იაპონიაში, ქალაქ ტოიოტაში მდებარეობს. ის წელიწადში დაახლოებით 10 მილიონ ავტომობილს აწარმოებს. მისმა წლიურმა შემოსავალმა 237 მილიარდი, ხოლო მოგებამ 19 მილიარდი დოლარი შეადგინა. “ტოიოტაში” 349 ათასი ადამიანია დასაქმებული. “ტოიოტა” სწრაფად პროგრესირებადი კომპანიაა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჰიბრიდული ელექტრომანქანების წარმოებაში ლიდერია, ხოლო ამჟამად დიდ ინვესტიციებს ახორციელებს თვითმავალი ავტომობილების განვითარებაში. კომპანიას იმედი აქვს, რომ 2020 წლიდან ქუჩაში “ტოიოტას” ახალი ავტომობილები მძღოლის გარეშე ივლიან.

7. Volkswagen Group “ტოიოტას” მსგავსად “ფოლკსვაგენიც” 1937 წელს დაარსდა ქალაქ ბერლინში, თუმცა ამჟამად მისი სათავო ოფისი და ერთ-ერთი უმსხვილესი ქარხანა ვოლფსბურგშია. კომპანია დაარსდა “ნაციონალ-სოციალისტური” პარტიის მიერ ადოლფ ჰიტლერის მხარდაჭერით. მეორე მსოფლიო ომის დროს “ფოლკსვაგენი” სამხედრო წარმოებაზე გადაერთო და საბრძოლო მანქანებსა და იარაღს აწარმოებდა. დღეს “ფოლკსვაგენ ჯგუფი” გერმანიის ყველაზე მაღალშემოსავლიანი კომპანიაა. მას ჯამში 100 ქარხანა აქვს, რომლებიც 27 ქვეყანაშია განთავსებული. 2015 წელს კომპანიამ 9.9 ავტომობილი აწარმოა და მცირედით ჩამორჩა “ტოიოტას”. “ფოლკსვაგენ ჯგუფი” უშვებს შემდეგ საავტომობილო ბრენდებს: “ფოლკსვაგენი”, “აუდი”, “ბენტლი”, “ლამბორგინი”,

“პორშე”, “შკოდა”, “მანი” და მოტოციკლი “დუკატი”. კომპანიის წლიური შემოსავალი 237 მილიარდი დოლარია და მას 610 ათასი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. გასულ წელს “ფოლკსვაგენმა” 1.5 მილიარდი დოლარის ზარალი ნახა, რაც დიზელის გამონაბოლქვთან დაკავშირებულმა სკანდალმა განაპირობა. აშშ-ის მთავრობამ კომპანია 15 მილიარდი დოლარით დააჯარიმა და ამასთან, “ფოლკსვაგენმა” უკან უნდა გაიწვიოს ნახევარ მილიონამდე ავტომობილი, რომლებშიც გამონაბოლქვის სტანდარტია დარღვეული.

6. Exxon Mobil “ექსონ მობილი” შედარებით ახალი კომპანიაა. ის 1999 წლის ბოლოს დაარსდა აშშ-ში, ტეხასის შტატში. მისი სათავო ოფისი ქალაქ ირვინგშია. თუმცა, “ექსონ მობილი” ორი დიდი კომპანიის გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა. ეს გახლავთ 1973 წელს დაარსებული ამერიკული “ექსონი” და 1911 წელს დაარსებული ამერიკული “მობილი”. კომპანია ნათობისა და გაზის მოპოვებას და მიწოდებას ახორციელებს. გასულ წელს “ექსონ მობილის” შემოსავალმა 246 მილიარდი დოლარი შეადგინა და მსოფლიოში მე-6 ადგილი დაიკავა (წინა წელს მე-5 ადგილზე იყო). დასაქმებული ჰყავს 76 ათასამდე ადამიანი. მოგებამ 16 მილიარდი დოლარი შეადგინა, თუმცა ნავთობის ფასის შემცირების გამო, მისი მოგება 50%-ით უფრო ნაკლებია, ვიდრე 2014 წელს იყო. “ექსონ მობილი” უსაფრთხოების სტანდარტების ინოვატორად და სწრაფად განვითარებად კომპანიადაა მიჩნეული.

5. Royal Dutch Shell “შელი” ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანიაა, რომელიც 1907 წელს დაარსდა. მისი სათავო ოფისი ჰოლანდიაში, ჰაგაში მდებარეობს. ოპერირების ძირითადი სფერო ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდებაა. კომპანია ოპერაციებს 90 ქვეყანაში ახორციელებს, ხოლო მის მიერ ნავთობის (და მისი ეკვივალენტების) დღიური წარმოება 3.7 მლნ ბარელია. “შელის” წლიური შემოსავალი 272 მილიარდი დოლარია და ამ მაჩვენებლით მას მსოფლიოში მე-5 ადგილი უჭირავს (წინა წელს მე-3 ადგილზე იყო), ხოლო ევროპაში პირველია. დასაქმებული ჰყავს 90 ათასი ადამიანი. გასული წლის მოგებამ 1.9 მილიარდი

დოლარი შეადგინა. ნავთობის ფასის კლების გამო, “შელის” წლიური მოგება 87%-ით არის შემცირებული.

4. Sinopec Group “სინოპეკ ჯგუფი” ჩინური კომპანიაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა სახელმწიფოს მიერ და დღემდე სახელმწიფო კომპანიად რჩება. მისი სათავო ოფისი პეკინშია განთავსებული. მისი ოპერირების სფერო ნავთობი და სხვა სათბობ-ენერგეტიკული პროდუქტებია, თუმცა ის უფრო წარმოებითაა დაკავებული, ვიდრე მოპოვებით. ძირითადად აწარმოებს ბენზინს, ლუბრიკანტებსა და ქიმიურ პროდუქციას. “სინოპეკის” წლიური შემოსავალი 294 მილიარდი დოლარია და ამ მაჩვენებლით მას მსოფლიოში მე-4 ადგილი უჭირავს (წინა წელს მე-2 ადგილზე იყო). დასაქმებული ჰყავს 810 ათასი ადამიანი. გასული წლის მოგებამ 3.6 მილიარდი დოლარი შეადგინა, თუმცა წლიური მოგება 31%-ით შეუმცირდა.

3. China National Petroleum “პეტროჩაინა” ჩინური, სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი კომპანიაა, რომელიც 28 წლის წინ, 1988 წელს დაარსდა. მისი სათავო ოფისი პეკინშია განთავსებული. საქმიანობის ძირითადი სფერო ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდებაა. კომპანია 3.7 მილიარდი ბარელის ნავთობის რეზერვებს ფლობს და ოპერაციებს 30 ქვეყანაში ახორციელებს. “პეტროჩაინას” წლიური შემოსავალი 299 მილიარდი დოლარია და ამ მაჩვენებლით მას მსოფლიოში მე-3 ადგილი უჭირავს (წინა წელს მე-4 ადგილზე იყო). დასაქმებული ჰყავს 1.6 მილიონი ადამიანი. გასული წლის მოგებამ 7.1 მილიარდი დოლარი შეადგინა, თუმცა წლიური მოგება 57%-ით შეუმცირდა. მოგების შემცირება ნავთობის ფასის კლებამ და კომპანიის კორუფციულ სკანდალში გახვევამ გამოიწვია, რის გამოც კომპანიის გენერალური მენეჯერის პოზიცია 16 თვეს ვაკანტური იყო. თუმცა ეს პრობლემები უკვე მოგვარდა და კომპანია ახალ ეტაპზე გადასვლის სტადიაზეა.

2. State Grid შემოსავლების სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მე-2 კომპანიის - “სტეიტ გრიდის” ისტორია 14 წლის წინ, 2002 წელს დაიწყო. ის დაარსდა სახელმწიფოს მიერ და დღემდე სახელმწიფო კომპანიად რჩება. მისი სათავო

ოფისი პეკინშია განთავსებული. ოპერირების ძირითადი სფერო ელექტროენერგიის გამომუშავება, გადაცემა და განაწილებაა. კომპანიის შექმნა ენერგეტიკის სფეროში კონკურენციის ზრდის ხელშესაწყობად მიღებულმა ჩინეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ განაპირობა. 2002 წლამდე არსებული სახელმწიფო კომპანია (State Power Corporation of China) 11 სხვადასხვა კომპანიად დაიყო, რომელთაგან "სტეიტ გრიდი" ყველაზე მსხვილი კომპანიაა. 2015 წლამდე "სტეიტ გრიდი" შემოსავლების მიხედვით მსოფლიოში მე-7 ადგილზე იყო. ბოლო წელს მე-2 ადგილზე გადაინაცვლა, რადგან მისმა წლიურმა შემოსავალმა 330 მილიარდი დოლარი შეადგინა. დასაქმებული ჰყავს 928 ათასი ადამიანი. გასულ წელს 10.2 მილიარდი დოლარის მოგება ნახა. კომპანია ელექტროენერგიას იღებს როგორც ტრადიციული რესურსებიდან (წყალი, საწვავი), ასევე მზის, ქარისა და სხვა ალტერნატიული წყაროებიდან.

<u>1. Walmart</u> მსოფლიოში ყველაზე მაღალშემოსავლიანი კომპანია ამერიკული სუპერმარკეტების ქსელი "ვოლმარტია". ბოლო სამი წელია, ის პირველობას არ თმობს. "ვოლმარტი" 1962 წელს სემ უოლტონმა დააარსა და დღემდე კომპანიის 51% უოლტონების ოჯახის საკუთრებაა. უოლტონების ოჯახი ჯამში 130 მილიარდი დოლარის ქონებას ფლობს და მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ოჯახია. "ვოლმარტის" სათავო ოფისი არკანზასის შტატში, ქალაქ ბენტონვილში მდებარეობს. ბოლო მონაცემებით, კომპანიის მაღაზიების რიცხვი 11 573-ია და ისინი მსოფლიოს 28 ქვეყანაშია განლაგებული. "ვოლმარტის" წლიური შემოსავალი 482 მილიარდი დოლარია. დასაქმებული ჰყავს 2.3 მილიონი ადამიანი. გასული წლის მოგებამ 14.7 მილიარდი დოლარი შეადგინა. კომპანია მომსახურების მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ამავე დროს პროდუქციაზე დაბალი ფასების შენარჩუნებას ახერხებს. მის დამფუძნებელ სემ უოლტონს ერთი შეხედვით მარტივი ფილოსოფია ჰქონდა, თუმცა სწორედ ეს ფილოსოფია გახდა კომპანიის უდიდესი წარმატების საფუძველი. სემის ფილოსოფია კი ასე ჟღერს: "მომხმარებელს შესთავაზე ისეთი ფასი, რომელზე ნაკლებსაც სხვაგან ვერ იპოვის".

თავი 2. ფინანსური მენეჯმენტი, როგორც ტრანსეროვნული კომპანიების ფუნქციონირების ძირითადი მახასიათებელი.

2.1 ფინანსური მენეჯმენტის არსი და როლი ტრანსეროვნული კომპანიის სამქმიანობაში

ნებისმიერი ფირმის, კომპანიის მართვა და მენეჯმენტი გულისხმობს მათი საქმიანობის საწარმოო და ფინანსური მიმართულებების შეფასებას. მატერიალური და ფულადი რესურსების მოძიებისა და მობილიზაციის, მათი სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ურთულესი პროცესების წარმატებით განხორციელებას, რასაც დიდად შეუწყობს ხელს მათ მესვეურთა შეძენილი ცოდნა (თეორიული და პრაქტიკული გამოცილდება). ეს კი , თავის მხრივ, მიუწვდომელი ოცნება იქნება ფინანსური მენეჯმენტისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოშვება-გამოყენების გარეშე.

ფინანსური მენეჯმენტი ანუ ფინანსების მართვა ეს არის გადაწყვეტილებები აქტივების შეძენის დაფინანსების და მართვის შესახებ, რომლებიც მიმართულია განსაზღვრული მიზნების სარეალიზაციოდ. მმართველობითი გადაწყვეტილება ფინანსური მენეჯმენტის სფეროში შეიძლება მივაკუთვნოთ აქტივების ოპერაციათა სამ ძირითად სფეროს: მათ ინვესტიციებს, დაფინანსებასა და მართვას.

საინვესტიციო გადაწყვეტილებები წარმოადგენს ყველაზე მთავარს სამი ძირითადი სფეროს გადაწყვეტილებებს შორის კომპანიის ღირებულების შექმნისა და ზრდის პოზიციებიდან. საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება იწყება კომპანიისთვის აუცილებელი აქტივების ღირებულების სიდიდის განსაზღვრით. ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გამოითვალოს რა მოცულობის აქტივებმა უნდა შეადგინოს აუცილებელი ფულადი სახსრები და რა მოცულობისამ მატერიალურ-საწარმოო რესურსები.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სამეურნეო სუბიექტის- ფირმებისა და კორპორაციების ფინანსური წარმატებები სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა მაღალი შემოსავლის მიღებას და აქტივების ღირებულების ზრდას. ამის მიღწევა კი არაკვალიფიციური მართვის პირობებში შეუძლებელია. მთავარ ამოცანად მიჩნეულია ისეთ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა:

1. რა წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტს- ფირმის, კორპორაციის ფინანსები?

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკუთრებითი ურთიერთობებისა და მართვის პროცესების სრულყოფა-განვითარება განაპირობებს კორპორაციის მესაკუთრეებსა და მენეჯერებს შორის პოტენციური კონფლიქტების ჩამოყალიბებას.

როგორც წესი, ფირმის, კორპორაციის, კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობა მუდმივად ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომლებიც გარანტირებულს გახდის აქციონერთა სიმდიდრის ზრდას, ე.ი. აქციონერთა კუთვნილი აქციების საბაზრო ფასების გადიდებას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აქციათა კურსი ასრულებს კორპორაციის ეფექტიანი საქმიანობის მაჩვენებლის ფუნქციას და ამით დემონსტრირებას ახდენს თუ რამდენად წარმატებით მუშაობს კორპორაციის აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე,

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ფირმა მთელი რიგი ნაკლოვანებებისგან დაზღვეული არ არის, რომელთა საფუძვლად მიჩნეული უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტები. ასეთებია : ხელმძღვანელთა არაკომპეტენტურობა, მათი ანგარება, მოტყუება ან ღია თანამდებობრივი დანაშაულობები, სამეურნეო პრაქტიკას გააჩნია ასეთი რისკების შემცირების ხუთი ურთიერთდაკავშირებული ხერხი. ესენია: პირველი - დისციპლინის გამტკიცემა , რომელსაც თვით ბაზარი მოითხოვს. მეორე - რეგულირება, რომელიც მოიცავს დირექტორთა მთელ შემადგენლობას და კომპანიის სტრუქტურასა და მოითხოვს თითოეული თანამშრომლის ხელმძღვანელთა წინაშე ანგარიშვალდებულებას. მეოთხე - ანგარიშგებათა

გამჭირვალობის მიღწევა დამოუკიდებელი აუდიტის განხორციელება და მეხუთე - პატიოსნება ელემენტარული წესების სავალდებულო დაცვა.

ფირმის (კორპორაციის) მენეჯმენტის სამსახურის მიერ აქციონერთა კეთილდღეობის მაქსიმიზაციისაკენ ლტოლვა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მან იგნორირება გაუკეთოს თავის კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მუშებისა და მომსახურეების შრომის ანაზღაურების, მათი შრომის პირობების უსაფრთხოების დაცვის, განათლების მიღების უზრუნველყოფას. კორპორაციის მენეჯერები მოვალენი არიან არა მარტო აქციონერთა ინტერესები, არამედ კრედიტორების, კლიენტების კორპორაციის მიმწოდებლების, ადგილობრივი ხელისუფლების და სხვათა ინტერესები დაიცვან. ნებისმიერი ქვეყნის კორპორაციების ძირითადი მიზანი აქციონერთა მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად უნდა გახდეს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ამაღლება, თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნის კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა ცდილობს გამონახოს „ კორპორაციული მოქალაქეობის“ საშუალებათა გზები, როგორც თანამედროვე ბიზნესის სავალდებულო თვისება.

„ კორპორაციული მოქალაქეობა“ - ეს არის ბიზნესსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა სისტემა განმარტავს ბოსტონის კოლეჯთან არსებული კორპორაციული მოქალაქეობის ცენტრის შემსრულებელი დირექტორი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ბრედლი გუგუინზი [გადელია დ.თბილისი,2010].

თანამედროვე ფინანსურ მენეჯერთა ბევრი წარმომადგენლის აზრით , დღეს კორპორაციებს სხვა გამოსავალი არა აქვთ, გარდა იმისა რომ იმუშაონ სოციალური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, ისინი ამტკიცებენ, რომ არა მარტო აქციონერთა კეთილდღეობა, არამედ თვით კორპორაციის არსებობა დამოკიდებულია იმ პასუხისმგებლობის დონეზე, რომელსაც იგი ეწევა საზოგადოების წინაშე, თუმცა საბაზრო ეკონომიკის არა აქვს შემუშავებული

ოფიციალური პასუხისმგებლობის კრიტერიუმები, რის გამოც ძნელია შემუშავებული იქნეს მისი სარეალიზაციოდ აუცილებელი პოლიტიკა.

ისმის კითხვა: რაში მგომარეობს ფინანსური მენეჯერის რელური პასუხისმგებლობა ბიზნესის გააძღოლის პოზიციებიდან?

ბიზნესის გაძღოლის კორპორაციული ფორმას გააჩნია ბევრი მიმზიდველი თავისებურებები, თუმცა ნებისმიერი კორპორაცია დაზღვეული არ არის ნაკლოვანებითაც, რომლებიც განპირობებულია ინტერესთა კონფლიქტების არსებობით. კომპანიის რესურსებზე კონტროლი უმაღლესი ხელმძღვანელობის განკარგულებაშია, რომელთაც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე უფლება აქვთ მოახდინონ მათი რეალიზაცია სხვების საზიანოდ. ეკონომისტები ასეთ სიტუაციას უწოდებენ „ ნდობით აღჭურვილ პირთან რწმუნებულის ურთიერთობის პრობლემას“ თანამედროვე ეკონომიკაში, რომლის აქციებსაც საინვესტიციო ფირმების მმართველები ფლობენ. ჩვენ ვაწყდებით „რწმუნებული- ნდობით აღჭურვილი პირის“ ურთიერთობის გრძელ მწკრივს.

როგორც წესი, კომპანიის ხელმძღვანელობა უკეთ არის ინფორმირებული კორპორაციის ავკარგიანობაზე, თანაც მათ არ სურთ ინფორმაციით აქციონერთა უზრუნველყოფა, რის გამოცა ისინი დაინტერესებულები არ არიან გაატარონ ქმედითი ღონისძიებები კომპანიაში არსებული პრობლემების გამოსასწორებლად,

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ინფორმირებული რევოლუცია და მსოფლიო გლობალური კონკურენცია ის მამოძრავებელი ძალებია, რომლებიც თანამედროვე ბიზნესის წინაშე ახალ-ახალ ამოცანებს იყენებს, სწორედ ფინანსური მენეჯმენტი, განსაკუთრებით სტრატეგიული მენეჯმენტი ის მთავარი ინსტრუმენტია, რომლითაც წარმატებით გადაწყდება კომპანიის (ფირმის) წინაშე დასახული სამეურნეო და ფინანსური მიზნები და ამოცანები.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ბიზნესის მართვაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ტენდენცია. 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე ფირმების აბსოლუტური

უმრავლესობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული ეკონომიკური ზრდის პრობლემების გადაწყვეტა, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის გერმანიის კომპანიები მოგების მიღების შემდეგ მე-2 რიგის ამოცანად საქონელბრუნვის და აქტივების გადიდებას სახავენ. სწორედ ეკონომიკური ზრდა შეიძლება მიღწეული იქნეს როგორც შიდა ფაქტორების გამოყენებით, ისე შერწყმითა და შთანთქმით, ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა მიჩნეულია ფირმის შემდგომი განვითარების მთავარ წყაროდ. რა თქმა უნდა კომპანიის ზრდა მნიშვნელოვანია, მაგრამ „განვითარება განვითარებისთვის“ ლოზუნგს „მოგება მოგებისათვის“ ლოზუნგთან შედარებით საშიშ სტრატეგიად მიიჩნევენ. ხშირად კომპანიის კრახის ძირითად მიზეზად გაყიდვათა მოცულობის ზრდა მომდევნო კოლაფსის მომასწავებლად წარმოგვიდგება ხოლმე, რატომ ხდება ასე? დაჩქარებული ზრდა. მოულოდნელი შესაძლებლობების ვარაუდი, დაფარული საშიშროება, ორაგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა უმართავი ხდება და ფინანსური რისკების მოსალოდნელობა დიდია.

განვითარებული ქვეყნების ბიზნესის მთავარი მიზანია, სააქციონერო კაპიტალის ღირებულების ზრდა (აქციონერთა კაპიტალის ღირებულება), რომელიც გამართლებულია იურიდიული და მორალური თვალთახედვით იმდენად, რამდენად აქციათა მფლობელები წარმოადგენენ კორპორაციის კანონიერ მესაკუთრეებს.

კომპანიის აქციონერთა კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს სამი საშუალებით: დივიდენდების განაღდების, აქციათა საბაზრო ღირებულების გადიდებისა და ნაღდად განაღდების გზით. კომპანიის აქციონერთა კაპიტალის მართვას რეალური ფულადი საშუალებების მიღების მიზნით და არა ქაღალდზე მოგების მიღებით, ან ბალანსზე დარიცხულ მოგებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ კორპორაციის მთავარი მიზანია სააქციონერო კაპიტალის ღირებულების მაქსიმალიზაციის უზრუნველყოფა, რესურსები ინვესტირებული უნდა იქნეს იქ, სადაც მეტი მოგების მიღებაა გარანტირებული, ვიდრე სხვა მესაკუთრეების მიერ ალტერნატიულ დაბანდებებში მისაღები მოგების

მოცულობაა. იმის გამო, რომ ყველა მეწარმე თავდაპირველად თვითონ ირჩევს საკუთარი ორგზანიზაციის მიზანს და მართავს მას, ისინი შეიძლება ჩაითვალოს მენეჯერებად, მაგრამ ზოგიერთ მენეჯერს არ გააჩნია იმის უნარი, რომ ეფექტიანად მართოს კომპანია და მომავალშიც გარანტირებული ჰქონდეს სათანადო ზრდის ტემპი.

თანამედროვე გლობალური ბიზნეს გარემო ძალიან რთული, არაერთგვაროვანია და ხასიათდება კონკურენციის მაღალი დონით. უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა კორპორაციებში ფინანსური ფუნქციების ფუნდამენტური ცვლილებები. რადიკლაურად იცვლება ფინანსური დირექტორების და მთლიანობაში ფინანსური ხელმძღვანელობის დარგთაშორისი და შიდადარგობრივ პარტნიორთან კავშირურთიერთობები. ეს ეხება ახალი სახეობის პროდუქციისა და მომსახურების დაპროექტება-გამოშვებას, მათ რენტაბელობას და საერთოდ ეფექტიანობის ამაღლებას. ამ საქმიანობაში ფინანსურ დირექტორებს ხშირად უწევს სერიოზული ფინანსური პრობლემების დაძლევის ღონისძიებათა შემუშავება.

იმისათვის, რომ ეფექტიანად მონაწილეობდეს კორპორაციული სტრატეგიის შესახებ დისკუსიაში და კომპერენტურად შეფასდეს გენერალური დერექტორისა და საბჭოს წევრების საქმინობა, აუცილებელია შესაბამისი ცოდნა. „ცოდნა ეს უფრო შესაფერისი სიტყვაა, ვიდრე პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული ინფრომაცია, იმიტომ, რომ დირექტორთათვის რეალური პრობლემაა არა ინფორმაციის უქონლობა, არამედ მისი შინაარსი და კონტექსტი“ [Х.лорш,М,2007]. მსოფლიო კორპორაციულ მენეჯმენტში გავრცელებულია მოსაზრება, რომ კომპანიათა საბჭოს დიდი დრო ეხარჯება პრეზენტაციის ორგანიზაციაში, მაშინ, როდესაც უმჯობესი იქნება ღრმად იქნეს შესწავლილი მათ ხელთ არსებული სამეურნეო თუ სხვა ცხოვრებისეული მასალები, რომლებიც ფირმის ეკონომიკის ოპერატიულად გაძღოლის საშუალებას იძლევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფინანსური დირექტორის პრობლემები, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია პრიორიტეტებთან კონფლიქტი. ერთი მხრივ,

ადრე ფინანსური აქტივობა ისე არ იყო ორინეტირებული სტანდარტულ ტექნიკურ ბუღალტრულ საკითხებზე, ფინანსურ და კორპორაციულ მართვაზე, როგორც დღეს, ხოლო მეორეს მხრივ, დღეს ფინანსურ დირექტორს ევალება უშუალო მონაწილეობა მიიღოს ფინანსურ სიახლეთა დანერგვის ორგანიზაციასა და სტრატეგიის შემუშავებაში.

თუ აქამდე ვცდილობდით ჩამოგვეყალიბებინა მენეჯერის როლი და ამონაცენები, ახლა საჭიროა განვიხილოთ მენეჯმენტის არსი. მენეჯმენტი წარმოადგენს დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კაპიტალის პროცესს, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციული მიზნების ფორმირებისა და მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მენეჯმენტი - ეს არის საქმინობა, რომელიც გარდაქმნის ადამიანთა არაორდანიზებულ ჯგუფს ეფექტიან, მიზანმიმართულ და მწარმოებლურ ჯგუფად. ამ თვისებით მენეჯმენტი წარმოადგენს როგორც სოციალური გარდაქმნების მამოძრავებელ ძალას, ისე სერიოზული სოციალური ინოვაციების ობიექტს[PETER F.DRUCKER , 1987]. ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში, სამწუხაროდ საქართველო განიცდის ეკონომიკური კადრების, განსაკუთრებით ფინანსისტების მწვავე ნაკლებობას, რაც თავის უარყოფით დაღს ასვამს მატერიალური დოვლათის ზრდასა და ქვეყნის ფინანსურ მეურნეობას.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, საქართველოში ეკონომიკურმა ცხოვრებამ ყველაზე მძიმედ ფინანსების, აღრიცხვისა და მართვის სპეციალისტთა დაბალი კვალიფიკაციის უარყოფითი შედეგები იწვნია. ლაპარაკი არ არის მარტო კვალიფიციური ფინანსური კადრების დეფიციტზე. ამასთან, მინდა შეგახსენოთ საფინანსო დარგის სპეციალისტები ქვეყანაში დიდი რაოდენობით მზადდება, მაგრამ მათი კვალიფიკაციის დონე ძალიან დაბალია.

მაღალკვალიფიციური ფინანსისტი კადრების მომზადებისადმი უყურადღებობამ, ფინანსისტ-მენეჯერების სწავლების ღონისძიებათა შემუშავების უგულვებელყოფამ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა ხანგრძლივი პერიოდით დასწია უკან.

2.2 ფინანსური მენეჯმენტის ამოცანები

როგორც წესი, ზოგადად მენეჯმენტი წარმოებისა და საწარმოო პერსონალის პრინციპების, ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების ერთბოლიობაა მართვის მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით. მენეჯმენტის ძირითადი მიზანია წარმოების მაღალი ეფექტიანობის, ფირმის, კომპანიის რესურსული პოტენციალის უკეთ გამოყენების მიღწევა.

მენეჯმენტი, რომლის მიზანია სააქციონერო კაპიტალის ღირებულების მაქსიმიზაცია, ჩვეულებრივად ანხორციელებს პოლიტიკას, რომელიც ძირეულად განსხვავდება საქმიანობისაგან და რომელიც მიმართულია მიმდინარე მოგებისა და კომპანიის ზრდის უზრუნველსაყოფად. თანამედროვე გამოკვლევები იმაზე მიუთითებს, რომ მოკლევადიანი მოგების გადიდებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ხშირად იწვევს აქციონერთა კაპიტალის ღირებულების შემცირებას. ამასთან, საფონდო ბაზარი მეტად სკეპტიკურად უყურებს ამ ფირმების სტრატეგიას, რომელთა საქმიანობა აგებულია შერწყმა-გაერთიანებაზე. ასეთ პირობებში აქციათა ღირებულება ჩვეულებრივად მცირდება.

სასურველია დროულად მოგვარდეს ქვეყანაში ფინანსების მართის საქმე არა მარტო ფირმებისა და კორპორაციების დონეზე, არამედ ბიზნესის სხვადასხვა სუბიექტების - ბანკების, საინვესტიციო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიების და სხვათა მიხედვით.

შევაჯამოთ ფინანსური მენეჯერის როლი და ამოცანები.

ფინანსური მენეჯერი მოქმედებს როგორც შუამავალი კორპორაციასა და კაპიტალის ბაზარს შორის, იმ ბაზარს შორის , სადაც მიმდინარეობს კორპორაციის

ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. ფულადი საშუალებების ნაკადი მოაძრაობს ინვესტირებიდან კოპრორაციისკენ და პირიქით, კოპრორაციიდან ინვესტორისაკენ. ფულადი საშუალებების ნაკადის წარმოქმნა ხდება მაშინ, როდესაც კორპორაცია გამოუშვებს ფასიან ქაღალდებს ფულადი სახსრების განსათავსებლად. ფული მიიმართება რეალური აქტივების შესასყიდად, რომელთაც კორპორაციის საქმიანობაში გამოიყენებენ. დამატებითი რეალური აქტივები იძლევა ფულადი სახსრების უფრო მეტი ოდენობოთ მოზიდვის საშუალებას, ვიდრე ეს საჭიროა თავდაპირველი საინვესტიციო ხარჯების დასაფარავად. და ბოლოს, წარმოებს ფულადი სახსრების ან რეივესტირება, ან უბრუნდება ინვესტორს, რომელმაც შეიძინა თავდაპირველი მისიის ფასიანი ქაღალდები [გადელია დ. თბილისი, 2010].

კორპორაციაში ყველას აინტერესებს მოგების ზრდა: აქციონერებს, კორპორაციის აპარატის მუშაკებს , ხელმძღვანელებს, კრედიტორებს, ხელისუფლებას. ყველანი კორპორაციის შემოსავლებიდან წილის მიღების პრეტენდენტია.

კორპორაციაში წარმატებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომლითაც შეძენილი რეალური აქტივები, რომელთა ღირებულება მასზე გაწეული დანახარჯებზე მეტია. ე.ი ჩვენთვის აუცილებელია იმ რეალური აქვიტების შეძენა, რომლებიც იწვევს ღირებულების ზრდას.

ფინანსური მენეჯმენტი მაშინ არის წარმატებული როცა აქტივების ღირებულება იზრდება. ე.ი აუცილებელია იაფად ყიდვა და ძვირად გაყიდვა. ეს კი ისეთი მენეჯერებისთვის არის ხელმისაწვდომი, რომელბსაც გააჩნიათ ფინანსების მეცნიერების ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების ხელოვნება. სხვანაირად ფინანსური მენეჯერისათვის დამახასიათებელი გახდება წარუმატებლობა, რაც კორპორაციას გაკოტრებამდე მიიყვანს.

ნებისმიერი კომპანია საჭიროებს სამეურნეო-ფინანსურ სფეროებში სრულყოფილ მართვას და დაგეგმვას, რაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიზნეს-გეგმის სახით. რისთვისაც არის ის საჭირო? მაგალითად, კომპანიას სჭირდება

ინვესტიციების მოზიდვა ან ბანკის სესხი. თუ კომპანიამ არ წარმოადგინა მაღალხარისხოვანი ბიზნეს-გეგმა თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად, არც ინვესტორი და არც ბანკი ზედაც არ შეხედავს.

უფრო მეტიც, კორპორაციაში ფინანსური მენეჯმენტის სწორი ორგანიზაცია აიძულებს მესაკუთრეს ჯერ გულდასმით იფიქროს და შემდეგ იმოქმედოს. ხშირად ფინანსურ გადაწყვეტილებას კორპორაცია ზერელედ ადგენს. ასეთ შემთხვევაში არასასურველ შედეგები არ დააყოვნებს.

„ფინანსური მენეჯმენტი“ მოიცავს ისეთ საკითხებსა და თემებს, როგორიცაა:

1. ფინანსური ანგარიშგება,ფულადი ნაკადები და გადასახადები;
2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი:
3. ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა პროგნოზირება;
4. ფინანსური დაგეგმვა;
5. ფინანსური გარემო; ბაზრები, დაწესებულებები და საპროცენტო განაკვეთები;
6. რისკები და შემოსავლები: პორტფელის თეორია და აქტივების შეფასების შედეგები;
7. ფულის მიმდინარე ღირებულება;
8. ობლიგაციის ტიპები და მათი შეფასებები;
9. აქციების ტიპები და მათი შეფასებები;
10. კორპორაციული კაპიტალის ღირებულება;
11. კაპიტალური ბიუჯეტის შედგენის საფუძვლები: ფულად საშუალებათა ნაკადების შეფასება;
12. კაპიტალის სტრუქტურის შერჩევა;
13. მოგების განაწილება აქციონერებს შორის: დივიდენდების გაცემა და აქციების შეყიდვა;
14. ლიზინგი, როგორც დაფინანსების წყარო;
15. წარმოებული ფასიანი ქაღალდები და რისკის მართვა;

16. გაკოტრება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

17. კომპანიის შეერთება და გაყოფა, კორპორაციული ალიანსი და ჰოლდინგი;

18. კორპორაციის ფინანსური საქმიანობის საერთაშორისო ასპექტები.

თავი 3. გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების ძირითადი მახასითებლები

3.1. ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობის ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკაზე.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ ხასიათსა და ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაში წამყვანი როლი აქვთ ტრანსეროვნულ კომპანიებს, რომლებიც უცხოური ინვესტიციების ძირითად წყაროს წარმოადგენენ. თანამედროვე პირობებში ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობამ უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია. ტნკ-ები დომინირებენ საქონლითა მომსახურებით ვაჭრობაში, ასევე, ფინანსური სფეროში[ლ.ჯამაგიძე 2008;492].

ტნკ-ების წრე მრავალფერვანია და ხასიათდება კიდევ უფრო გაფართოების ტენდენციით. იზრდება ტნკ-ების უცხოური განყოფილებების გაყიდვები, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, აქტივები, დასაქმება და ექსპორტი.

მიმღებ ქვეყნებზე ტნკ-ების საქმიანობის გავლენის პრობლემებისა და განვითარების პროცესში მათი როლის შესახებ მრავალი კვლევა არის მიძღვნილი. ისინი შეიძლება დაიყოს პესიმისტურ, ოპტიმისტურ და სკეპტიკურ შეხედულებებად. პესიმისტური შეხედულება აქცენტს აკეთებს ტნკ-ებისა და მიმღები ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობაზე. ტნკ-ები მოგების მიღების ძიების პროცესში ესწრაფვიან კაპიტალის აკუმულირებას, ხოლო მიმღები ქვეყნები ცდილობენ არ

ჩამორჩნენ განვითარების პროცესში. ტნკ-ები არა მარტო ბიზნესით არიან დაკავებულნი, არამედ ერთვებიან მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და ზეწოლას ახდენენ მთავრობაზე, რათა უზრუნველყონ საკუთარი ბიზნეს-ინეტრესებისთვის მაქსიმალურად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება.

ოპტიმისტური შეხედულება უკავშირდება მოდერნიზაციის თეორიას. ტნკ-ები არიან მიმწოდებლები იმ სახსრებისა, რომელსაც შეუძლია კაპიტალის ნაკლებობის შევსება, რაც განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია.

სკეპტიკური შეხედულება ხაზს უსვამს ეროვნული ინსტიტუტებისა და ეროვნული ეკონომიკური ინტერესების მნიშვნელობას. თუ ქვეყანა შეძლებს სათანადოდ წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი ინტერესი და ეფექტიანად განახორციელოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, მაშინ შესაძლებელია ტნკ-ების საქმიანობით გამოწვეული უთანაბრობის დაძლევა.

ტნკ-ები აქტიურად განიხილავენ იმ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომლებიც გარდამავალ ქვეყნებში ბიზნესის გაფართოებას უკავშირდება. ისინი ითვალისწინებენ იმ ეკონომიკურ რეალობას, რომელიც გარდამავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი:

- შედარებით დაბალი პოლიტიკური სტაბილურობა, სწრაფი ცვლილებები და მაღალი რისკი;
- არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა;
- ეკონომიკური და სოციალური დაძაბულობის გარკვეული დონე;
- საშუალო კლასის განუვითარებებლობა;
- ნაკლებად განვითარებული ფიზიკური და ინსტუციური ინსფრასტრუქტურა;
- სამუშაო ძალის განათლების დონის შეფასების სირთულე;
- კონტრაქტების შესრულების სირთულე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამ ქვეყნებში ტნკ-ებს იზიდავთ მომგებიანი ვაჭრობისა და ინვესტირების მზარდი შესაძლებლობები. მათი მთავარი მიზანი მიმღები ქვეყნების ბაზრებზე ძლიერი პოზიციების დაკვიდრებაა. ეს ნიშნავს არა მარტო ტნკ-ის ბაზრების გეოგრაფიულ გაფართოებას, არამედ შვილობილი

კომპანიებისა და ფილიალების დაფუძნებას ისე, რომ მოხდეს მოცემულ ქვეყანაში არსებული კონკურენტუნარიანობის წყაროების გამოყენება.

მეორე მიზანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ბაზრის ძიებისა ახალ რეგიონულ ბაზრებზე დამკვიდრებას უკავშირდება. მას შემდეგ რაც კომპანია განამტკიცებს პოზიციებს მოცემული კონკრეტული ქვეყნის ბაზრებზე, შეიძლება განიხილოს რეგიონის მასშტაბით საქმიანობის წარმართვის საკითხი.

ტნკ-ების ინვესტიციები განსაკუთრებით გარდამავალი ქვეყნებისთვისაა მნიშვნელოვანი. წლების განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ტნკ-ებისთვის ყველაზე მიმზიდველნი იყვნენ პოლონეთი, ჩეხეთი, რუსეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი. გარდამავალი ეტაპის დასაწყისში ყველა ქვეყანა, ასე თუ ისე ჩამორჩებოდა საერთაშორისო ტექნოლოგიურ სტანდარტს, მაგრამ ბევრი განვითარებადი ქვეყნისგან განსხვავებით, მათ არ მოუწიათ ნულიდან დაწყება. ამდენად, ამ ქვეყნების ნაწილმა შეძლო წარმატებით გამოეყენებინა უცხოური კომპანიების ინვესტიციების პოტენციური სარგებელი, ხოლო ნაწილს აქვს ეს შესაძლებლობა. გარდამავალ ქვეყნებში საბაზრო ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა არასახარბიელოა, მაგრამ ისინი მდიდარნი არიან ადამიანისეული კაპიტალით.

უცხოური კომპანიების შემოსვლა ცვლის დარგისა და კონკურენციის სტრუქტურას. სხვა თანაბარ პირობებში ახალ საწარმოებში განხორციელებული პუი მეტ ზემოქმედებას ახდენს დარგის სტრუქტურასა და კონკურენციაზე, ვიდრე შერწყმები.

საქართველოში კვარტალურად შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს. საქსტატის ინფორმაციით, 2017 წლის მესამე კვარტალში საქართველოში შემოსულმა პუი-ს მოცულობამ 594.5 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.6%-ით აღემატება. აღსანიშნავია, რომ

საანგარიშო პერიოდში მესამე კვარტალში პუი-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელსაა დაფიქსირებული – 729.4 მლნ დოლარი.

სამი კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით, ჯამურად, 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში 1 346.5 მლნ დოლარის ინვესტიციაა შემოსული.

3.2. გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების თანამედროვე მდგომარეობა.

გლობალური ეკონომიკის თავისებურება ისაა, რომ არცერთ სახელმწიფოს, მიუხედავად წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის მაღალი დონისა, არ შეუძლია ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა და განვითარება ავტარქიის პირობებში. ამდენად, საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე კვლავწარმოების პროცესის ლოგიკის ძალით. საქართველოში გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა.

საქართველო ამჟამად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს, სუამის, მსოფლიო სავაჭრო ორგა-ნიზაციისა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის. საქართველო ასევე მიისწრაფვის ევროპის კავშირში ინტეგრაციასა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიასში გაწევრიანებას.[1]

„1993 წლიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ისეთ ავტორიტეტულ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან,

[1] https://www.wikipedia.org/

როგორიც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი გახლავთ, ორიოდე წლის შემდეგ საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარი შეაღო. საქართველო, რეგიონალური პროექტების ფარგლებში, ჩართულია ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, როგორიცაა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაცია, სუუამი და სხვა. მაგრამ ჩვენი ინტერესის სფეროს, ტრადიციულად, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ინსტიტუტები წარმოადგენენ. ყოველგვარ ასეთ თანამშრომლობას თან სდევს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობით საქართველომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება დაიწყო, გატარდა რეფორმა, ქვეყანამ მიიღო ასეული მილიონობით შეღავათიანი კრედიტი, მაგრამ ამავე ორგანიზაციის წევრობით ჩვენ გარკვეული ვალდებულებები ავიღეთ, რომელთა შესრულება აუცილებელია, თუ ჩვენ კვლავ გვინდა მათი იაფი კრედიტებით სულის მოთქმა. იგივე კრედიტები, რომლებმაც, უდავოდ, სერიოზული როლი შეასრულა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში, ხვალ შეიძლება სერიოზულ ტვირთად გვექცეს, რადგან ეს ჩვეულებრივი კრედიტებია და მათ, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გასტუმრება უნდა.“ [2]

აზიის განვითარების ბანკის განცხადებით, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 4,7 პროცენტით გაიზრდება და 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 0,2 პროცენტით გაუსწრებს. ამის შესახებ აზიის განვითარების ბანკის მიერ წარმოდგენილ მიმოხილვაშია ნათქვამი.

ანალიზის მიხედვით, 2018 წელს მოსალოდნელია ინფლაციის შემცირება 3,5 პროცენტამდე, 2017 წლის 6 პროცენტიანდონესთან შედარებით, რისი მიზეზიც, მიმოხილვის ავტორების თქმით, სააქციზო პროდუქციაზე ფასების ზრდის ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვაა, რის შემდეგაც ინფლაციის უფრო მეტად, 3 პროცენტამდე შემცირებას ელოდებიან.

[2] ივლისი 04,2002 საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები ,ზაზა გაჩეჩილაძე https://www.radiotavisupleba.ge/a/1521823.html

ADB-ის მკვლევარების ინფორმაციით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლებას მიმოხილვის ავტორები 2019 წელს, 8,5 პროცენტამდე ელოდებიან, ექსპორტითა და ტურიზმით მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

„პროგნოზების რისკს წარმოადგენს მოსალოდნელზე უფრო სუსტი საექსპორტო მაჩვენებელი, თუ საქართველოს წამყვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენები უარყოფითი მოლოდინებით იქნება განპირობებული და პირიქით, საგარეო ბაზრებზე მზარდმა მოთხოვნამ შესაძლოა, უზრუნველყოს საქართველოში ეკონომიკის ზრდის კიდევ უფრო დაჩქარება“, – აღნიშნულია მიმოხილვაში. [3]

Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც ქვეყნების მდგომარეობას აფასებს 0-100 ბალიანი სკალით, საქართველო 2018 წელს მე-16 პოზიციაზეა 180 ქვეყანას შორის 76.2 ქულით. 2012 წელს საქართველოს 34-ე პოზიციაზე იმყოფებოდა 2018 წელს საქართველო რჩება უმეტესად თავისუფალ ჯგუფში

დიაგრამა 3.1

[3]http://bfm.ge/aziis-ganvitarebis-banki-saqartvelos-ekonomika-47-procentit-gaizrdeba/



წყარო : http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2018_geo.pdf

წინა წელთან შედარებით, 2018 წელს საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა 12 ინდიკატორიდან შემდეგ 7 ინდიკატორში გაუმჯობესდა :

- საკუთრების უფლება (62.8 ქულა) – 50-ე ადგილი (გაუმჯობესდა 27 პოზიციით);
- მთავრობის სამართლიანობა/კორუფციისგან თავისუფლება (61.8 ქულა) - 28-ე ადგილი (გაუმჯობესდა 3 პოზიციით);
- გადასახადების ტვირთი (87 ქულა) - 34-ე ადგილი (გაუმჯობესდა 2 პოზიციით);
- ბიზნესის თავისუფლება (86.9 ქულა) - მე-13 ადგილი (გაუმჯობესდა 3 პოზიციით);
- შრომის თავისუფლება (77.3 ქულა) - მე-17 ადგილი (გაუმჯობესდა 8 პოზიციით);
- მონეტარული თავისუფლება (79.6 ქულა) - მე-80 ადგილი (გაუმჯობესდა 12 პოზიციით);

- ვაჭრობის თავისუფლება (89.4 ქულა) - მე-6 ადგილი (გაუმჯობესდა 3 პოზიციით).

საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა შემცირდა შემდეგ ინდიკატორებში:

- სასამართლოს ეფექტიანობა (64.2 ქულა) – 37- ე ადგილი (შემცირდა 3 პოზიციით);
- მთავრობის დანახარჯები (73.3 ქულა) – 72-ე ადგილი (შემცირდა 4 პოზიციით)
- ფისკალური სიჯანსაღე (91.8 ქულა) – 44-ე ადგილი (შემცირდა 4 პოზიციით);
- საინვესტიციო გარემოს თავისუფლება (80 ქულა) – 24-ე ადგილი (შემცირდა 3 პოზიციით);
- ფინანსური თავისუფლება (60 ქულა) - მე-40 ადგილი (შემცირდა 1 პოზიციით).

დიაგრამა 3.2



წყარო : http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2018_geo.pdf

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში საქართველო მე-16 პოზიციაზეა, „ფორბსის“ მიერ ბიზნესისთვის საუკეთესო 139 ქვეყანას შორის 43-ეა. გასული წლის მონაცემებით, ქვეყანაში სტაბილურია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაც. მომხიბლავი რეიტინგისა და სტატისტიკური

მონაცემების მიუხედავად, არსებობს რიგი დაბრკოლებებისა, რომელსაც უცხოელი ინვესტორები და ბიზნესმენები საქართველოში აწყდებიან.

ინვესტორებისთვის ძირითად დაბრკოლებას საქართველოში შიგა ეკონომიკური გარემო წარმოადგენს. ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული ექსპორტის დივერსიფიკაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგან ინვესტორებისათვის ყველაზე მიმზიდველი არის საექსპორტო სექტორი, რომელიც ორიენტირებულია მეტ უცხოურ ბაზარზე.

ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 200-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც მოიცავენ შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონის განსაზღვრა საერთაშრისო ვაჭრობის და უცხოური კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ხდება.

საქართველოს პოზიცია 2016 წლის რეიტინგში მე-16 ადგილი დაიკავა. საქართველოს მე-16 ადგილი განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ. საქართველოს მაღალი პოზიცია უფრო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველია, ვიდრე მიღწეული განვითარების დონის.

ცხრილი3.1

ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი:

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	სინგაპური	96.1
2	ირლანდია	93.1
3	ლუქსემბურგი	91.8
4	ჰოლანდია	90.9

5	მალტა	90.3
6	არაბთაგაერთიანებულისაამიროები	88.4
7	უნგრეთი	86.9
8	ესტონეთი	86.1
9	ბელგია	86.0
10	ბაჰრეინი	85.5
15	ჩეხეთი	82.9
16	**საქართველო**	**82.6**
17	ფინეთი	82.2
51	სომხეთი	69.7
54	უკრაინა	68.9
77	აზერბაიჯანი	61.9
107	თურქეთი	55.4
111	რუსეთი	54.9

წყარო:http://forbes.ge/news/1216/ekonomikuri-globalizaciis-reitingSi-saqarTvelo-me-16-adgilzea

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოებას,

მისი საერთაშორისო კონკურენტუნაიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება ცალმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზეა შესაძლებელი. საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც, ცხადია, მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას გლობალურ ბაზარზე და, ამავე დროს, ისეთი ეკონომიკური მიზნების განხროციელებას, როგორებიცაა:

1. გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედების აცილება;
2. კონკურენტუნარიანობის მოპოვება და შენარჩუნება;
3. ძირითადი საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა;

2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13.8%-ით გაიზარდა და 10 707.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 29.1%-ით და 2 728 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა; იმპორტი გაიზარდა 9.4%-ით და 7 979.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; სავაჭრო ბალანსმა 5 251.1 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49% შეადგინა. 2017 წელს ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობაში წინა წელთან შედარებით 22%-იდან 25%-მდე გაიზარდა, შესაბამისად უარყოფითი სავაჭრო ბალანსის წილი საგარეო ვაჭრობაში 6%-ით შემცირდა.

დიაგრამა 3.3



წყარო: http://www.economy.ge/

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდის უწყვეტი ტენდენცია 2016 წლის სექტემბრიდან შეიმჩნევა. კერძოდ, ყოველი თვე წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება

ცხრილი3.2

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2008-2017 წლებში

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა	**7 797**	**5 609**	**6 913**	**9 259**	**10 433**	**10 933**	**11 463**	**9 497**	**9 400**	**10 707**
ზრდის ტემპი (%)	21%	-28%	23%	33%	13%	5%	5%	-17%	-1%	13.8%
ექსპორტი	**1 495**	**1 134**	**1 677**	**2 186**	**2 377**	**2 911**	**2 861**	**2 205**	**2 113**	**2 728.0**
ზრდის ტემპი (%)	21%	-24%	48%	31%	8%	22%	-1.7%	-23%	-4%	29.1%
იმპორტი	**6 302**	**4 476**	**5 236**	**7 072**	**8 056**	**8 023**	**8 602**	**7 292**	**7 287**	**7 979**
ზრდის ტემპი (%)	21%	-29	17%	34%	14%	-0.2%	7%	-15%	-0.1%	9.4%
სალდო	**-4 806**	**-3 342**	**-3 559**	**-4 886**	**-5 680**	**-5 112**	**-5 741**	**-5 088**	**-5 175**	**- 5 251**

წყარო:http://www.economy.ge/

2017 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 589 მლნ. აშშდოლარი, წილი 14.8%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 184 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11%), ხოლო მე-3 ადგილზე ჩინეთი (939.5 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.8%).

დიაგრამა 3.4



წყარო:http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf

გლობალურ ეკონომიკასთან ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პირდაპირი ინვესტიციების მარაგი და მათი თანაფარდობა მშპ-სთან. საქსტატი საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას 1997 წლიდან ითვლის. სამი კვარტლის ჯამური მაჩვენებლებით 2017 წელს შემოსული ინვესტიციები გასული წლებთან შედარებით რეკორდულია. თუმცა, ეს რეკორდულობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქსტატმა წინა წლების ინვესტიციების მოცულობები შეცვალა, მათ შორის, 2007 წლის (აქამდე ინვესტიციების რეკორდული მოცულობა სწორედ 2007 წელს ფიქსირდებოდა) მონაცემი 265 მლნ დოლარით შეამცირა.

დიაგრამა3.5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2007-2017 წლებში, სამი კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით (მლნ დოლარი)



წყარო: საქსტატი

საქსტატის მიხედვით, 2017 წლის სამ კვარტალში პუი-ის ყველაზე დიდი რაოდენობა აზერბაიჯანიდან შემოვიდა და 378 მლნ შეადგინა. ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანის შემდეგ თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და აშშ მოდიან. მნიშვნელოვანია, რომ ტოპ ინვესტორი ქვეყნების ათეულში რუსეთი არ შედის. გარდა ამისა, 2017 წლის სამი კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებიდან დსთ-ის სახელმწიფოებთან შედარებით საქართველოში 29 მლნ დოლარით მეტი ინვესტიცია შემოვიდა.

ზოგადად, რამდენად ბევრი ან ცოტა ინვესტიცია შემოდის ქვეყანაში, ამას ნომინალურ რიცხვებზე უკეთ ინვესტიციების მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ-თან) ფარდობა უჩვენებს, რადგან რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, განვითარებისთვის სულ უფრო მეტი ინვესტიცია ესაჭიროება. გრაფიკი 2-დან ჩანს, რომ პუი ყველაზე მაღალი მშპ-ის მიმართ 2006-2008 წლებში იყო, 2009-2013 წლებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო 2014-2016 წლებში

საშუალოდ 11%-ის დონეზე იყო. 2017 წლის 3 კვარტლის პუი მშპ-ის დაახლოებით 11.5%-ია.

დიაგრამა3.5

საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-ის მიმართ



წყარო: საქსტატი

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყველაზე მაღალი ბრუნვის მქონე კომპანიების შესახებ წინასწარ ინფორმაციას ავრცელებს. 10 კომპანია, რომელსაც 2017 წელს ყველაზე დიდი ბრუნვა ჰქონდა (კომპანიები რეიტინგის მიხედვით დალაგებული არ არის).

1. ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში – თურქეთში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალია საქართველოში.
2. სს ელექტრო-ენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი – იგივე ესკო 2006 წლიდან ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტს ახორციელებს. ესკოს საშუალო წლიური ბრუნვა, კომპანიის ინფორმაციით, 500 მლნ. ლარს

აღემატება. კომპანიის ცნობით, აქციათა 100% პროცენტი სს „საპარტნიორო ფონდის“ საკუთრებაა, რომელიც მთლიანად მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

3. შპს მარსი – აზარტული თამაშების ბიზნესში მოღვაწე კომპანია crystalbet-ია.
4. შპს ჩემპიონები 111 – აზარტული თამაშების კომპანია Europe-bet-ია. საჯარო რეესტრის თანახმად, Europe-bet-ის 100% წილის მფლობელი Betsson Perch Investments AB-ია (შვედეთი).
5. შპს სუპერბეთი 2014 -საჯარო რეესტრის თანახმად, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი აზარტული თამაშების ბიზნესში მოღვაწე კომპანია ლიდერბეთია.
6. შპს ჯორჯიან მანგანეზი – კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი შ. პ. ს ჯორჯიან ამერიქენ ელოიზია, რომელიც ლუქსემბურგშია რეგისტრირებული. კომპანიის ინფორმაციით, მაღალი და საშუალო ხარისხის სილიკომანგანეზს აწარმოებს. მათივე ცნობით, მოპოვებითი სამუშაოები ხორციელდება შვიდ საბადოსა და რვა კარიერზე.
7. სს ენერგო-პრო ჯორჯია – „ენერგო-პრო ჯორჯია“ წარმოადგენს ჩეხური „ენერგო-პრო ჯგუფის“ შვილობილ კომპანიას. კომპანია ენერგეტიკის სფეროში მოღვაწეობს. ენეტგო-პროს ინფორმაციით, კომპანია 15 საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურს ფლობს.
8. შპს სოკარ ჯორჯია გაზი – კომპანიის ძირითად ფუნქციას ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების საქმიანობა, მოსახლეობის გაზმომარაგებით უზრუნველყოფა; ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია წარმოადგენს.

3.3 ტრანსეროვნული კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის საქართველოში

თანამედროვე კორპორაცია წარმოედგენს სათანადო იურიდიულად გაფორმებულ და რეგისტრირებულ ეკონომიკურ ერთეულს, რომლის აქტივები გამოყოფილია მფლობელებისა და მენეჯერების პირადი საკუთრებისაგან. კორპორაციებს ეს გამოყოფა სამ უმნიშვნელოვანეს უპირატესობას ანიჭებს:

1. ცხოვრების განუსაზღვრელი ვადა - კორპორაციას შეუძლია თავისი საქმინობის გაგრძელება დამფუძნებლისა და მმართველობის გარდაცვალების შემდეგ;
2. მფლობელთა საკუთრების მაღალი ლიკვიდობა - კორპორაციების საწესდებო კაპიტალი იყოფა აქციებად, რომლის რეალიზაცია უფრო ადვილია, ვიდრე ერთპიროვნული ფლობისაგან კომპანიაში წილის გაყიდვა, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობას;
3. შეზღუდული პასუხისმგებლობა - აქციონერთა ზარალი შეზღუდულია მხოლოდ მათ მიერ ინვესტირებული სახსრების ფაქტიური მოცულობის მიხედვით, იმის მაქსიმუმი, რომელსაც აქციონერი დაკარგავს კორპორაციის გაკოტრების დროს

ზემოაღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად უადვილებს კორპორაციებს ფუნქციონირებას: ა) კომპანიებთან შედარებით, რომლებიც ერთმმართველობის პრინციპით საქმიანობენ; ბ) ამხანაგობებთან შედარებით, რომლებიც ფუნქციონირებენ კაპიტალის ბაზრის ფულადი სახსრებით.

იმისათვის, რომ სწორად წარიმართოს კორპორაციის ფინანსების მართვა, აუცილებელია წარმოვადგინოთ ფინანსური მართვის ტიპიური სქემა, რომელთაგან ყველაზე ოპტიმალურად მიგვაჩნია ი. ბრიგჰემისა და მ. ერჰარდის „ფინანსური მენეჯმენტის სახელძღვანელოში მოცემული ტიპიური სქემა:

კომპანიის უფროსი ფინანსური მენეჯერი ჩვეულებრივად ასრულებს ფინანსების სფეროს ვიცე-პრეზინდენტის თანამდებობას და ანგარიშვალდებულია კომპანიის პრეზიდენტის წინაშე.

ფინანსების სფეროს ვიცე-პრეზინდეტის უშუალო დაქვემდებარებაში არიან ხაზინადარი და კონტროლიორი (მთავარი ბუღალტერი). მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხაზინადარი უშუალოდ მართავს ფულადი სახსრებისა და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების ნაკადებს, ამასთან, პასუხისმგებელი კაპიტალის სტრუქტურის დაგეგმვასა და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებაზე კაპიტალის განთავსების მიზნით. ხაზინადარი აგრეთვე წარმოადგენს კრედიტის მენეჯერისა და მარაგების მენეჯერის უფროსს, რომლის საქმიანობის სფეროში შედის კომპანიის ძირითადი საშუალებების შესახებ ინვესტიციებზე გადაწყვეტილებების შემუშავება. მთავარი ბუღალტერი უშალოდ მართავს ბუღალტერიისა და საგადასახადო აღრიცხვის განყოფილების საქმიანობას.

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა აქციონერთა მიერ დირექტორების არჩევა, რომლებიც კორპორაციის ოპერატიული მართვისათვის მომავალში აწარმოებენ მენეჯერთა დაქირავებას. სწორედ მენეჯერების ძირითადი ამოცანაა აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლება, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ფირმის ჩვეულებრივი აქციობის საბაზრო ფასების მაქსიმალურ ზრდას.

რა თქმა უნდა, ფირმის მენეჯერების ამოცანაა აგრეთვე საკუთარი თანამშრომლების და მთლიანობაში საზოგადოების კეთილლდღეობის ამაღლება.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების მოსახლოების დიდი ნაწილი კორპორაციათა აქციონერების როლში გვევლინება. თუ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ამერიკული კორპორაციების აქციათა დიდი ნაწილის მფლობელები იყვნენ მრავალრიცხოვანი მდიდარი ადამიანები, ფინანსური ეკონომიკის ეპოქაში გაუგონარ მასშტაბებში გაიზარდა კომპანიების საპენსიო ფონდები, რომლებიც აწარმოებს სიცოცხლის დაზღვევას და ურთიერთდახმარების ფონდები.

ამჟამად ეს ფონდები ფლობს აშშ-ში მთელი აქციების 60%-ზე მეტს. გარდა ამისა, ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 43% აქციებს ინდივიდუალურად ფლობს, მაშინ, როდესაც 1990 წელს აშშ-ის მოსახლეობის მხოლოდ 22% იყო აქციონერი, უფრო მეტიც, მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელთაც საპენსიო ფონდები გააჩნიათ, ღებულობენ აქციების ფლობაზე არაპირდაპირ შემოსავალს - თავიანთი საპენსიო დაგროვების მიზნით.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში საზოგადოების დიდი ნაწილი კორპორაციული აქციების კურსის გადიდებაზე პერსონალურადაა დაინტერესებული. აქედან გამომდინარე, თუ კომპანიის მენეჯერი ღებულობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია აქციების ფასის გადიდებისკენ , იგი დადებით გავლენას მოახდენს მილიონობით უბრალო მოქალაქეთა ცხოვრობის დონეზე.

აქციათა კურსის გადიდებისკენ მიმართული პოლიტიკა ჩვეულებრივად ხელსაყრელია მომხმარებლისთვის. აქციათა ფასების ზრდა მოითხოვს ეფექტიან საწამოთა შექმნას, რომელბიც აწარმოებენ მაღალხარისხიან საქონელს ნაკლები დანახარჯებით.

აქციათა კურსის ზრდის უზრუნველსაყოფად მიმართული პოლიტიკა, ჩვეულებრივად ხელსაყრელია კომპანიის თანამშრომლებისათვის. კომპანია, როდესაც აღწევს წარმატებებს საკუთარი კაპიტალიზაციის ზრდისა და წარმოების მოცულობის გადიდების საქმეში, სამუშაოზე აჰყავს ახალი მუშაკები, ამით ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევართა რიცხვის შემცირებას.

ისმის კითხვა: რა ღონისძიებებს შეიმუშავებს მენეჯერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს კომპანიის აქციათა ფასების ზრდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავარკვიოთ რა განსაზღვრავს აქციებზე ფასების ზრდას? პასუხი ერთია - კომპანიის უნარი შექმნას ფულადი სახსრების ნაკადები მიმდინარე მომენტსა და მომავალში . აქ უნდა გამოვყოთ სამი ძირითადი მომენტი:

1. ნებისმიერი ფირმის აქციების ჩათვლით ნებისმიერ ფინანსურ აქტივს ღირებულება გააჩნია იმ დონეზე, რომელიც მას მოაქვს ფულადი სახსრების ნაკადების მფლობელისათვის;
2. დიდი მნიშვნელობა აქვს ფულადი ნაკადების დროში განაწილებას: რაც უფრო სწრაფად მიიღება ფულადი სახსრები, მით უკეთესია იმის გამო, რომ შეიძლება მისი ივესტირება დამატებითი მოგების უზრუნველსაყოფად ან ინვესტორებს შორის გაიცეს დამატებითი დივიდენდები;
3. ჩვეულებრივად ინვესტორები ცდილობენ ნაკლებრისკიანი ფინანსური აქციების განხორციელებას. სხვა თანაბარ პირობებში, ისინი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ ისეთ აქციებსა და ფულად ნაკადებს, რომელთა საიმედოობა შედარებით გამოკვეთილია, ვიდრე იმ აქციებისა და ფულადი ნაკადებისა, რომლებიც უფრო სარისკოა.

ფინანსურმა მენეჯერებმა უნდა გადაწყვიტონ, ფირმა როგორ დააფინანსონ, როგორი თანაფარდობა უნდა იყოს დავალიანებასა და საკუთარ კაპიტალს შორის და რა რაოდენობის სავალო ვალდებულებები და ფასიანი ქარალდები უნდა იქნეს დატოვებული ფირმის განკარგულებაში, რა ნაწილი რეინვესტირებისთვის და რა ნაწილი გაიცეს დივიდენდების სახით.

კორპორაცია წარმოადგენს რა ქვეყანაში არსებული წესებით შექმნილ ეკონომიკურ ერთეულს, რომელიც გაფორმებულია იურიდიულად და რეგისტრირებულია, რომლის აქტივები გამოყოფილია მესაკუთრებისა და მენეჯერების პირადი საკუთრებიდან, ეს გამოყოფა კორპორაციას სამ მთავარ უპირატესობას ანიჭებს დანარჩენ ორ ფორმასთან შედარებით:

1. კორპორაციისთის დამახასიათებელია არსებობისა და ფუქციონირების განუსაზღვრელი ვადა - მას შეუძლია თავისი საქმიანობა გააგრძელოს დამფუძნებლისა და მმართველობის სიკვდილის შემდეგაც;
2. კორპორაციის მფლობელთა საკუთრებას ახასიათებს მაღალი ლიკვიდობა;
3. შეზღუდული პასუხისმგებლობა - აქციონერთა ზარალი შეზღუდულია ინვესტიციების ფაქტიური მოცულობით.

კიდევ ერთხელ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კორპორაციის მთავარი მიზანი - აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლება, რომელიც გულისხმობს კომპანიის ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ფასების მაქსიმალურ გადიდებას.

სამწუხაროდ, საქართველოში კორპორაციული სისტემის განვითარება ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

როგორც წესი, კორპორაცია როგორც სამეწარმეო საქმინობის ორგანიზაციული ფორმა, ითვალისწინებს წილობრივ საკუთრებას, იურიდიულ სტატუსს და მართვის ფუნქციების თავმოყრას მენეჯერების ხელში, თანაც ეს უკანასკნელნი დაქირავებულია.

კორპორაცია ეს არის ბიზნესის ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც განსხვავებული და განცალკევებულია მისი მფლობელი კონკრეტული პირებისაგან, თანაც ის იურიდიული პირია განსაზღვრული პასუხისმგებლობის ნიშნით. სწორედ, ამიტომ კორპორაციის პირობებს ჩვენს ქვეყანაში აკმაყოფილებს სააქციონერო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

კორპორაციის უპირატესობა სხვა ფირმებთან შედარებით ისიც არის, რომ ფასიანი ქაღალდების გამოშვებითა და გაყიდვით მას შეუძლია საჭირო ოდენობის ფულადი რესურსების მობილიზება და კორპორაციის სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყენება.

დასკვნა

თავისი სტრუქტურით ტნკ-ები და გლობალური კომპანიები მაღალინტეგრირებული გაერთიანებებია. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც კორპორაციული მთლიანობა, დაფუძნებული სააქციო კაპიტალში მონაწილეობაზე. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ საწარმოო, სავაჭრო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ტრანსეროვნულ ჯგუფებს.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე გასაღების ბაზრების, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, ტნკ-ებისა და ჩვეულებრივ კომპანიებს შორის ზღვარი რამდენადმე პირობითია. ამჟამად, გაეროს კლასიფიკაციით, ტნკ-ებს მიეკუთვნება ფირმები: რომელთაც საწარმოები აქვთ არანაკლებ ორ ქვეყანაში: მათ შორის ხორციელდება აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა (რესურსებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთგაცვლა); ცენტრალიზებულად ხორციელდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა.

გლობალიზაციის ეპოქაში ტნკ-ების ფაქტორი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას. ტრანსნაციონაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებასა და მისი მდგრადი მიღების საიმედოობას. ტნკ-ები დიდ გავლენას ახდენენ შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაზე. ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული ინსტიტუტების - შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბერგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკისა და სხვათა წარმატებულ გადატანასა და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საწარმოო, საინვესტიციციო და სავაჭრო ფუნქციებს, როგორიცაა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება, ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცება და სხვ.

თანამედროვე, 21-ე საუკუნის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- ქვეყანათაშორისი უპურატესობების გამოყენება;
- კაპიტალის მოძრაობა ტნკ-ის ბაზირების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან დამოუკიდებლად;
- მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში შეღწევა, რომლებიც დიდ ინვესტიციებსა და მაღალკვაკლიფიციურ პერსონალს საჭიროებენ;
- მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა;
- გლობალური საწარმოო-სავაჭრო პოლიტიკა;
- საქმიანობის დივერსიფიკაცია;
- ბიზნესის მონოპოლიზაცია;
- სტრატეგიული დაგეგმვა;

- კომპანიის შიდა ვაჭრობის გაძლიერება.

ტნკ-ები აქტიურად განიხილავენ იმ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომლებიც გარდამავალ ქვეყნებში ბიზნესის გაფართოებას უკავშირდება. ისინი ითვალისწინებენ იმ ეკონომიკურ რეალობას, რომელიც გარდამავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი:

- შედარებით დაბალი პოლიტიკური სტაბილურობა, სწრაფი ცვლილებები და მაღალი რისკი;
- არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა;
- ეკონომიკური და სოციალური დაძაბულობის გარკვეული დონე;
- საშუალო კლასის განუვითარებებლობა;
- ნაკლებად განვითარებული ფიზიკური და ინსტუციური ინსფრასტრუქტურა;
- სამუშაო ძალის განათლების დონის შეფასების სირთულე;
- კონტრაქტების შესრულების სირთულე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამ ქვეყნებში ტნკ-ებს იზიდავთ მომგებიანი ვაჭრობისა და ინვესტირების მზარდი შესაძლებლობები. მათი მთავარი მიზანი მიმღები ქვეყნების ბაზრებზე ძლიერი პოზიციების დაკვიდრებაა. ეს ნიშნავს არა მარტო ტნკ-ის ბაზრების გეოგრაფიულ გაფართოებას, არამედ შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების დაფუძნებას ისე,რომ მოხდეს მოცემულ ქვეყანაში არსებული კონკურენტუნარიანობის წყაროების გამოყენება.

მეორე მიზანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ბაზრის ძიებისა ახალ რეგიონულ ბაზრებზე დამკვიდრებას უკავშირდება. მას შემდეგ რაც კომპანია განამტკიცებს პოზიციებს მოცემული კონკრეტული ქვეყნის ბაზრებზე, შეიძლება განიხილოს რეგიონის მასშტაბით საქმიანობის წარმართვის საკითხი.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება ცალმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზეა შესაძლებელი. საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც, ცხადია, მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს.

თანამდეროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა აქციონერთა მიერ დირექტორების არჩევა, რომლებიც კორპორაციის ოპერატიული მართვისათვის მიმავალში აწარმოებენ მენეჯერთა დაქირავებას. სწორედ მენეჯრების ძირითადი ამოცანაა აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლება, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ფირმის ჩვეულებრივი აქციობის საბაზრო ფასების მაქსიმალურ ზრდას.

კიდევ ერთხელ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კორპორაციის მთავარი მიზანი- აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლება, რომელიც გულისხმობს

სამწუხაროდ, საქართველოში კორპორაციული სისტემის განვითარება ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

როგორც წესი, კორპორაცია როგორც სამეწარმეო საქმინობის ორგანიზაციული ფორმა, ითვალისწინებს წილობრივ საკუთრებას, იურიდიულ სტატუსს და მართვის ფუნქციების თავმოყრას მენეჯერების ხელში, თანაც ეს უკანასკნელნი დაქირავებულია.

კორპორაცია ეს არის ბიზნესის ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც განსხვავებული და განცალკევებულია მისი მფლობელი კონკრეტული პირებისაგან, თანაც ის იურიდიული პირია განსაზღვრული პასუხისმგებლობის ნიშნით. სწორედ, ამიტომ კორპორაციის პირობებს ჩვენს ქევყანაში აკმაყოფილებს სააქციონერო საზოგადოებები და შეძრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1.აბრალავა ა. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციის პროცესში, ჟ „ეკონომიკა“ 2004.

2.ასათიანი რ. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, 2011

3.გადელია დ. კორპორაციათა ფინანსები, თბილისი, 2006

4.გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობა, შრომების კრებული, თბილისი, 2008

5.პაპაშვილი ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე, საერთაშორისო ბიზნესი, V ტომი, 1-4, თბილისი 2017

6.ფუტკარაძე რ. სამეცნიერო ნაშრომების კრებული, 2008

7.შენგელია თ, გლობალური ბიზნესი, თბილისი, 2010

8.ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწ. თბილისი, 2001

9.ხატიძე გ. ტრანსნაციონალური კორპორაციები და ადამიანის უფლებები, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი,2016

10.ჯამაგიძე ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, თბილისი , 2008

11.ჯავახიშვილი რ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციაში , სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2012

12. Бригхем Ю, Гапенски ЛЮБ Финансовый менеджмент, 10-е издание, МЮБ Спб, Воронеж, Киев, Харьков, 2005,958 Стр

13.Владимирова И. Т. Исследование уровния транснационализации компании, Менеджмент в России и за Ребежом, №6, 2001

14. 42. Удовик С Л. голбализация: семиотические подходы, Изд-во Рефл-бук, 2002

43. Хасбулатов М.Я., Мировая экономика, М. 1997

15.Хасбулатов М.Я., Мировая экономика, М. 1997

16.Шишков Ю.В. Глобализация и проблема экономического разрыва между развитыми и развивающимися странами, Внешне-экономический бюллетень, 2002, №8

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

17. .http://www.nplg.gov.ge-უკნსკნელად იქნა გადამოწმებული-20.06.2018

18.http://ipm.ge/index.- უკნსკნელად იქნა გადამოწმებული- 21.06.2018

19. http://forbes.ge-უკნსკნელად იქნა გადამოწმებული-18.06.2018

20 . http://bit.gtu.ge-უკნსკნელად იქნა გადამოწმებული-20.06.2018

21. http://www.economy.ge/-უკნსკნელად იქნა გადამოწმებული-20.06.2018

22.https://nsshrm.wordpress.com-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-16.06.2018

23. http://www.nplg.gov.ge/gwdict-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-06.06.2018

24. http://old.press.tsu.- უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-16.06.2018

25.http://strategy.ge-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-20.06.2018

26. http://www.economists.ge-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-15.05.2018

27. http://netgazeti.ge/-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-21.06.2018

28. http://www.institute.esu.edu.ge/-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-18.06.2018

29. http://factcheck.ge/-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-15.06.2018

30. https://www.wikipedia.org/ -უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-20.06.2018

31. https://www.radiotavisupleba.ge/-უკანსკნელად იქნა გადამოწმებული-20.06.2018